დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ქობულეთის მინიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნოდარ ანგურიძე

წევრები:

ირმა გამსახურდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ირინე თეთვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო კაპანაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქობულეთის მინიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	246994212

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქობულეთი, სოფელი დაგვა
ფაქტობრივი მისამართი	ქობულეთი, სოფელი დაგვა
საფოსტო ინდექსი	6200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	dagva@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577049058

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 6 მაისის MES 9 25 0000493579 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 9 და 10 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქობულეთი, სოფელი დაგვა, პროგრამა ხორციელდება სამ მისამართზე, თითოეულზე ერთი შენობა-ნაგებობაა
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქობულეთი, სოფელი დაგვა, პროგრამა ხორციელდება ორ მისამართზე, თითოეულზე ერთი შენობა-ნაგებობაა

3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქობულეთი, სოფელი დაგვა, პროგრამა ხორციელდება ერთ მისამართზე, სადაც ერთი შენობა-ნაგებობაა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

დაწესებულებაში ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს 10:00. ვიზიტზე ერთდროულად მივედით თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ექსპერტი და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომელი.

სკოლაში მისულებს, სკოლის წარმომადგენელმა გვიჩვენა ჩვენთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე. გარდა ამისა, სკოლამ საგნობრივ ექსპერტებთან დისტანციურად ჩართვისთვის გამოყო ცალკე სივრცე, რომელშიც ზოგადი განათლების ექსპერტი-წევრი განთავსდა. ვიზიტი ორივე დღეს წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში. დღის წესრიგით განსაზღვრული აქტივობები განხორციელდა ისე, როგორც იყო დაგეგმილი. საგნობრივ ექსპერტებთან მასწავლებლების გასაუბრება ხდებოდა შეთანხმებული განრიგის მიხედვით. ვიზიტის მეორე დღის დასაწყისში პირველად მოვინახულეთ სკოლის ის შენობა, სადაც მხოლოდ დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასების სწავლება მიმდინარეობს, დასკვნის ტექსტში მოხსენიებულია როგორც შენობა N3. შემდეგ ვინახულეთ შენობა, სადაც დაწყებითი და საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მიმდინარეობს, შენობაN2. ბოლოს კი მივედით ძირითად შენობაში, შენობა N1. ვიზიტის ბოლოს სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შევაჯამეთ გავლილი ვიზიტი, გავაცანით მიგნებები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს არაფორმალური განათლების მიმართულებით აქტიური ჩართულობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ პროექტებში მონაწილეობა და წარმატებების მიღწევა. კერძოდ , სასკოლო კლუბმა თექა - უძველესი ტრადიციის შესწავლას ეთმობა ორჯერ მოიპოვა 2500 ლარიანი გრანტი პროგრამაში „საკლუბო მუშაობის ხელშეწყობა“, ასევე გრანტი მოიპოვა სასკოლო კლუბმა ხეზე კვეთა - სილოგრაფია“. ეკო- კლუბი ჩართულია ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის კონკურსში , სპორტის მიმართულებით სკოლას მოპოვებული აქვს წარმატებები მაგიდის ჩოგბურთში და გეზრბენში, სკოლის მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსში, საიდანაც დაფინანსდა სკოლის ბიბლიოთეკის ტექნიკით აღჭურვა და წიგნადი ფონდის შევსება და სხვა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: ----500------	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.4.	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში 01.09.2025 უზრუნველყოს, რომ ყველა პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდეს დაკავებულ თანამდებობას*
ინდიკატორი N3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ პერიოდში 01.06.2025-30.10.2025 უზრუნველყოს სკოლის სამივე შენობის სრულად ადაპტირება*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული**	*რჩევა*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.2.2.	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;*	*სკოლას ეძლევა რჩევა შინაგანაწესში (ან მისთვის სასურველ ნებისმიერ სხვა დოკუმენტში), პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის სრულყოფისთვის დაამატოს რეგულაციები, რომელიც სკოლის აქტივობებს აღწერდა პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად*
ინდიკატორი N3.4.1.8.	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის*	*სკოლას ეძლევა რჩევა იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე.*
ინდიკატორი N3.6.2.1.	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*სკოლას ეძლევა რჩევა შესაბამისობაში მოიყვანოს ერთმანეთთან „საქმისწარმოების მეთოდოლოგია“ და „საქმისწარმოების წესი“, ან გააერთიანოს და შექმნას ერთი სრულყოფილი დოკუმენტი.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N4.2.1.3.	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად*	*სკოლას ეძლევა რჩევა რემედიაციის წესში გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმის მე-8 მუხლის, მე-8 პუნქტით განსაზღვრული იმ მოსწავლეების ჩართვაც, რომლებიც არიან სკოლის მიღმა ან იმყოფებიან სკოლის მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***რჩევა***
ინდიკატორი ***N 2.1.2.1***	დაწყებითი საფეხური საბაზო საფეხური საშუალო საფეხური	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **სკოლას ეძლევა რჩევა დაწყებითი საფეხური** -ბუნებისმეტყველება (6კლასი),

		საბაზო საფეხური- ფიზიკა(7-9კლასი) **საშუალო საფეხური** - ფიზიკა(10, 12კლასი), ბიოლოგია(10კლასი) **კლასებისთვის:** კლასის კურიკულუმის ჩარჩოში (ცხრილებში) სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად.
ინდიკატორი ***N 2.1.2.1***	დაწყებითი საფეხური საბაზო საფეხური	**ესთეტიკური აღზრდა:** **სკოლას ეძლევა რჩევა მუსიკაში დაწყებითი და საბაზო საფეხურისთვი:** სასურველია კურიკულუმს არ ჰქონდეს კონკრეტული კლასის მითითება და მასწავლებლის გვარი. მაგ: Iა; VII ბ; და ა.შ. **სკოლას ეძლევა რჩევა ხელოვნებაში დაწყებითი და საბაზო საფეხურისთვი:** სასურველია კლასს არ ახლდეს მასწავლებლის და კონკრეტული კლასის მითითება.
ინდიკატორი ***N 2.1.2.1***	დაწყებითი საფეხური საბაზო საფეხური საშუალო საფეხური	**მათემატიკა:** **სკოლას ეძლევა რჩევა მათემატიკაში სამივე საფეხურისთვის:** სასურველია კომპლექსური დავალებებისა და იდეების გამრავალფეროვნება.
ინდიკატორი ***N 2.1.2.2***	დაწყებითი საფეხური	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** ***სკოლას ეძლევა რჩევა მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო, დაწყებითი საფეხურისათვის:*** სასურველია, კურიკულუმში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) უფრო ნათლად აისახოს კავშირი საკითხს/ საკითხთა კლასტერსა და სამიზნე ცნებას/ებს შორის.
ინდიკატორი ***N 2.1.2.2***	საბაზო საფეხური	**უცხოური ენები:** **სკოლას ეძლევა რჩევა უცხოური ენაში საბაზო საფეხურისთვის:** კურიკლუმი ჩაასწორონ და შეიტანონ საბაზო საფეხურის სტანდარტის სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები.
ინდიკატორი ***N 2.1.2.3***	დაწყებითი საფეხური საბაზო საფეხური საშუალო საფეხური	**უცხოური ენები:** **სკოლას ეძლევა რჩევა უცხოურ ენაში სამივე საფეხურისთვის:** სასურველია მასწავლებელმა ისარგებლოს კონკრეტული რესურსით, რათა გამოირიცხოს ლექტრონული რესურსების ფორმალურობა და ხელი შეუწყოს კურიკულმით დასახული მიზნების მიღწევას.

ინდიკატორი **N 2.1.2.3**	დაწყებითი საფეხური საბაზო საფეხური საშუალო საფეხური	**სახელმწიფო ენა:** **სკოლას ეძლევა რჩევა სახელმწიფო ენაში სამივე საფეხურზე:** - სასურველია,რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითოთ აუდიო-ვიდეო ფაილები,ფილმები (შესაბამისი ბმულებით)რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.
ინდიკატორი **N 2.1.2.4**	*საბაზო საფეხური*	**ესთეტიკური აღზრდა:** **სკოლას ეძლევა რჩევა ხელოვნებაში საბაზო საფეხურისთვის**: *სასურველია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოდგენილი იყოს ხელოვნებაშიც.*
ინდიკატორი **N 2.1.2.5**	დაწყებითი საფეხური საბაზო საფეხური საშუალო საფეხური	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **სკოლას ეძლევა რჩევა: (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ყველა საგანი)** მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან და ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ ყველა შემოქმედებითი დავალების ფარგლებში, რომელიც განხორციელდება, შექმნან კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი **N 2.1.2.5**	დაწყებითი საფეხური საბაზო საფეხური საშუალო საფეხური	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** **სკოლას ეძლევა რჩევა საზიგადოებრივ მეცნიერებებში, ეხება სამივე საფეხურს:** კურიკულუმის განვითარების პროცესში შეფასების ინსტრუმენტები მიზნობრივად მოერგოს სკოლის მიერ შემუშავებულ და აღიარებულ ხედვას შეფასებასთან დაკავშირებით, რისი კონკრეტული მაგალითებიც უკვე პრაქტიკულადაც აქვთ შექმნილი საზ. მეცნიერებების მასწავლებლებს.
ინდიკატორი **N 2.2.1.1.**	დაწყებითი საფეხური საბაზო საფეხური საშუალო საფეხური	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **სკოლას ეძლევა რჩევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს** **სამივე საფეხურზე** : წარმოდგენილი კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის გაამრავალფეროვნონ: კურიკულუმის ჩარჩოში შეტანილი ქვეცნებები დაკონკრეტდეს თითოეულ საკითხთან

		მიმართებაში, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში. სამივე საფეხურის (ყველა საგანი) შემოქმედებითი დავალების ბარათებში, თემატურ მატრიცებსა და კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებები მოვიდეს თანხვედრაში.
ინდიკატორი N 2.2.1.4.	დაწყებითი საფეხური საბაზო საფეხური საშუალო საფეხური	**ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, სკოლას ეძლევა რჩევა** -სასურველია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირებისათვის, შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში გაწერილი აქტივობის შესაბამისად, სკოლამ კურიკულუმის დანერგვის პროცესში აქტიურად გამოიყენოს დიაგნოსტირების მეთოდი. სასწავლო წლის განმავლობაში 2-ჯერ მაინც, რათა უკეთ გამოვლინდეს მიგნებები მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის რევიზირებისთვის. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახოს შესაბამის დასკვნაში. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. სკოლამ დასკვნისა და დასკვნის განხილვის შედეგების საფუძველზე გადახედოს სკოლის კურიკულუმს.
ინდიკატორი N 2.2.2.2.	დაწყებითი საფეხური საბაზო საფეხური საშუალო საფეხური	**უცხოური ენები:** **სკოლას ეძლევა რჩევა უცხოურ ენაში სამივე საფეხურზე:** რომ შერჩეული დამატებითი რესურსები სრულად ასახოს შესაბამისი კლასის კურიკულუმში.
ინდიკატორი N 2.2.2.3.	დაწყებითი საფეხური საბაზო საფეხური საშუალო საფეხური	**უცხოური ენები:** **სკოლას ეძლევა რჩევა უცხოურ ენაში სამივე საფეხურზე:** რომ შერჩეული დამატებითი რესურსები სრულად ასახოს შესაბამისი კლასის კურიკულუმში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზთან მიმართებაში, შედეგად გამოვლენილი ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში (3.1.2.3. ინდიკატორი), რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ხარვეზის სტანდარტთან შესაბამისობის მტკიცებულება. გარდა ამისა, მეტწილი შესაბამისობა, რომელიც ეხებოდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებას (ინდიკატორი 3.4.1.1.), გადავიდა სრულ შესაბამისობაში - წარმოდგენილი უსაფრთხოების შესახებ დასკვნის საფუძველზე (იხ. ინდიკატორის აღწერა).

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას *გააზრებული* აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ქობულეთის მინიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლას (შემდგომში „სკოლა“) შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას მისიით განსაზღვრული აქვს უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნა, ამასთან განსაზღვრული აქვთ, რომ ინტელექტუალური თუ მატერიალური ღირებულებების შესაქმნელად მოზარდებს ჩამოვუყალიბებენ თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. ამ მიზნების შესრულება გარანტიას ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

მისიის, ხედვის და ღირებულებების შესამუშავებლად ჩართულია სასკოლო საზოგადოება. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასევე მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე. შემუშავების პირველ ეტაპზე სამუშაო ჯგუფი ხვდებოდა სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელს, სტრუქტურულ ერთეულებს და გამოკითხვის, ინტერვიუს და კვლევის სხვა მეთოდებით მოახდინა ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და მათი მუშაობის ამსახველი

შეხვედრის ოქმი. ამ შეხვედრაზე ეწყობოდა განხილვები და ამის შემდეგ შეიმუშავეს მისიის, ხედვის და ღირებულებების სამუშაო ვერსიები (პროექტები).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სამუშაო ჯგუფმა შემუშავებული მისიის, ხედვის და ღირებულებების სამუშაო ვერსია წარუდგინა დირექტორს, დირექტორმა თავის მხრივ წარუდგინა სამეურვეო საბჭოს განსახილველად. სამეურვეო საბჭომ განიხილა და დასამტკიცებლად გადასცა პედაგოგიურ საბჭოს, რომელმაც დაამტკიცა მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსიები 2023 წლის 7 სექტემბრისთვის. ზუსტად ასეა აღწერილი სკოლის ფილოსოფიის შემუშავების ეტაპები სკოლის „ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში“. ამ პროცესში გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების გარკვეული წრისთვის (სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოსთვის). უფრო ფართო საზოგადოებისთვის „გაზიარება/გაცნობა“ ხდება მოგვიანებით, 30 სექტემბრისთვის, საფეხურების მიხედვით მშობელთა კრებებზე. სკოლამ წარმოადგინა ამ კრებების ოქმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ვებ გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის დასახელება „სსიპ - ქობულეთის მინიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა“ შეესაბამება მის სტატუსს და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დადგენილს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის სამუშაო შეხვედრების ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმები;
- მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ შევსებული კითხვარები;
- სკოლის ვებგვერდი - https://skolebi.emis.ge/schools/435?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90 ;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მშობელთა კრების ოქმები;
- სკოლის „ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში“
- ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმარების კითხვარი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლის „ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელშიც ჩაწერილია, რომ „სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ან/და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმა, ის განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სტრატეგიულ გეგმაში ასახულია სკოლის სტრატეგიული მიზნები, ხოლო მიზნები ჩაშლილია ამოცანებად. სტრატეგიული დაგეგმვა სკოლამ განახორციელა swot ანალიზის საფუძველზე. ის წინააღმდეგობაში არ მოდის სკოლის მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიური საბჭოს ოქმები. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ის ციკლურია და შეიცავს სტრატეგიულ მიზნებს და მიზნებთან შესაბამის ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ოქმები გასული და მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე. ასევე, სამეურვეო საბჭოს ოქმები რომლებშიც გასული და მიმდინარე სასწავლო წლების სამოქმედო გეგმებია დამტკიცებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024/25 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა დიდწილად ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და ყოველწლიურ swot ანალიზს. ერთწლიანი გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, ამოცენების შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ინდიკატორები, აქტივობის შესრულების ვადები და რესურსები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- დირექტორის ბრძანება „სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი „შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის განხილვის შესახებ“;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სტრატეგიული გეგმა (2023 -2030 წწ)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024/25 სასწავლო წლები).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასება, რომელსაც ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის

შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ჩაწერილია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო სასწავლო წლის ბოლოს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშების საფუძველზე, რის შემდეგაც სამოქმედო გეგმაში კეთდება მინიშნებები: „შესრულდა“, „არ შესრულდა“; „ნაწილობრივ შესრულდა’. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი, ანგარიშები და სამოქმედო გეგმაზე გაკეთებული მინიშნებები შესრულების/არ შესრულების/ნაწილობრივ შესრულების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის ვებ-გვერდზე ატვირთულია სამოქმედო გეგმის 2023-2024 სასწავლო წლების შესრულების შესახებ ანგარიში. რაც შეეხება სტრატეგიულ გეგმას, მეთოდოლოგიის შესაბამისად ჯერ არ დამდგარა სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის პერიოდი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

2024-2025 წლის სამეურვეო საბჭოს ოქმში, რომელიც შეეხება 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებას, მითითებულია, რომ ითვალისინებენ გასული წლის გამოცდილებას მიმდინარე სამოქმედო გეგმის შედგენისას. ოქმში აღნიშნულია, რომ კონკრეტული აქტივობები, რომელიც ნაწილობრივ შესრულდა ან ვერ შესრულდა აქტუალობიდან გამომდინარე დარჩება მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაშიც. მაგალითად ასეთ აქტივობებ განეკუთვნებოდა დიაგნოსტიკური წერები, მემორანდუმის გაფორმება სხვა ორგანიზაციებთან და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი 2023-2024 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგზე;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი 2024-2025 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცებაზე;
- სკოლის ვებ-გვერდი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

“ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2005 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდების მე-3 მუხლის მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინური კომიტეტს. წესდებაში მოცემულია ამ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. გარდა ამისა სკოლის დირექტორის 2025 წლის 6 თებერვლის N01-03/12 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის სტრუქტურა, რომელიც გარდა ზემოთ ხსენებული სტრუქტურული ერთეულებისა, დამატებით

მოიცავს სხვა სტრუქტურულ ერთეულებსაც, ხოლო 2025 წლის 6 თებერვლის N01-03/13 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. ამასთან ერთად, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გაწერილია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები მიემართება და ხელს უწყობს სკოლის ძირითადი, დამხმარე და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებას. პასუხისმგებლობები კარგადაა განაწილებული და მათი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- სკოლის სტრუქტურა და მისი დამტკიცების ბრძანება;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მისი დამტკიცების ბრძანება;
- სკოლის საშტატო განრიგი და მისი დამტკიცების ბრძანება
- სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის სამეურვეო საბჭოს დამტკიცებული აქვს დოკუმენტი - პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს აღწერს. დოკუმენტით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები და სტრატეგია, ამოცანები, პერსონალის მართვის პოლიტიკის როლი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, კადრების მოზიდვა და შერჩევა, თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და აქტივობები, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, შესრულებული სამუშაოს ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება, პროფესიული განვითარება, მოტივაცია, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, დასკვნითი დებულებები. გარდა ამისა პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები, რომელიც არ არის აღწერილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, აღწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა 2023/2024 სასწავლო წლის ბოლოს გაკეთებულ SWOT ანალიზში აცხადებს, რომ „გაცდენის შემთხვევაში ჩამნაცვლებელი მასწავლებლის არარსებობა“ სკოლის სუსტი მხარეა. მიუხედავად ამისა, სკოლას აქვს საჭიროების შემთხვევაში ადამიანური რესურსების ჩანაცვლება/შენაცვლების პრაქტიკის განხორციელება მასწავლებელთან დაკავშირებით. მაგალითად მის მიერ გადმოგზავნილ საავტორიზაციო დოკუმენტაციაში არის მასწავლებელთა გაკვეთილზე ჩანაცვლების და შენაცვლების აქტივობების ამსახველი ჟურნალი. შინაგანაწესში არის მუხლი „სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი“, რომელიც პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის მომწესრიგებელ რეგულაციებს შეიცავს. კერძოდ, აღწერს თანამშრომელთა ვალდებულებებს რა უნდა მოიმოქმედოს სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუმცა არ არის აღწერილი რას გააკეთებს სკოლა, იმ შემთხვევაში, პერსონალიდან რომელიმე მათგანი თუ არ ცხადდება სამსახურში პრევენციისა და ინტერვენციის გასახორციელებლად. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ სკოლაში საგნის ერთი მასწავლებელია, მისი გაცდენის შემთხვევაში ჩატარდება სხვა გაკვეთილები, ხოლო მას შემდეგ, რაც გამცდენი მასწავლებელი დაუბრუნდება სკოლას, ის აანაზღაურებს გაცდენილ გაკვეთილებს იმ საგნის საათების ხარჯზე, რომელიც მისი გაცდენის დროს ჩატარდა. კარგი იქნება სკოლამ შინაგანაწესში აღწეროს ის რასაც გააკეთებს ჩანაცვლების ან/და შენაცვლების უზრუნველსაყოფად (ანუ დაამატოს რეგულაციის სახით, ის რასაც ახორციელებს პრაქტიკულად, რაზეც საუბრობდა ინტერვიუს დროს). სკოლას აქვს მზაობა მომავალშიც განახორციელოს შენაცვლება/ჩანაცვლების არსებული პრაქტიკა. **სკოლას ეძლევა რჩევა შინაგანაწესში (ან მისთვის სასურველ ნებისმიერ სხვა დოკუმენტში), პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის სრულყოფისთვის დაამატოს რეგულაციები, რომელიც სკოლის აქტივობებს აღწერდა პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ ვიზიტის დროს გადმოგზავნილი საკონკურსო მასალების მიხედვით საკონკურსო კომისია დაკომპლექტებულია მოქმედი წესის მოთხოვნების შესაბამისად. ანალოგიური სიტუაციაა სპეცმასწავლებლის კონკურსთან დაკავშირებით - სკოლა კონკურს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლის ყველა თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე რომლებშიც სრულყოფილად წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი, გარდა ერთისა. კერძოდ, წარმოდგენილია განათლების და კვალიფიკაციის, ასევე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და კანონმდებლობით მოთხოვნილი „ნასამართლობისა“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის“ ცნობები, თუმცა **ცნობა "საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ" არც ერთ თანამშრომელს (სულ 42 პირი) არ აქვს წარმოდგენილი.** მართალია ვიზიტის პერიოდში სკოლის თანამშრომლებმა დაიწყეს ცნობის აღების მიზნით შსს მომსახურების სააგენტოს პორტალზე დარეგისტრირება, მაგრამ სკოლას ამის დამადასტურებელი დოკუმენტი ჯერ არ წარმოუდგენია, ამის გამო ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ვერ ჩაითვლება.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა სკოლის ყველა თანამშრომელზე გაცემული **ცნობა "საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ".** ***ამ გარემოების გათვალისწინებით ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში***

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებული მასწავლებელთა, სპეციალურ მასწავლებლის და ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მათი კვალიფიკაციები რეგულირებადია და სახელმწიფოსგანაა დადგენილი, ასევე დაკმაყოფილებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანარჩენი თანამშრომლების შემთხვევაშიც, საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლას გაწერილი აქვს დოკუმენტში „დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოხოვნების შესახებ“. ავტორიზაციის დოკუმენტაციასთან ერთად <u>სკოლამ წარმოადგინა „შესაბამისობის გეგმა“</u>, რომელშიც აცხადებს, რომ ჰყავს 2 მოწვეული და 1 სპეცმასწავლებელი და

მათი კვალიფიკაცია სკოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისი გახდება 2025 წლის 10 სექტემბრისთვის, მას შემდეგ, რაც ეს პედაგოგების ჩააბარებენ საგნის გამოცდას. მანამდე ამ ინდიკატორში მეტწილი შესაბამისობაა.
ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის სტრუქტურული ერთეულებია კოლეგიური ორგანოები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა), რომელთა ფუნქციები გუნდურობას და გადაწყვეტილებების კოლეგიურ მიღებაზეა დაფუძნებული. გადაწყვეტილებების მიღების წესი სკოლის წესდებაშია გაწერილი. გუნდურობისა და მონაწილეობითი კულტურიტ სკოლამ შეიმუშავა სკოლის ფილოსოფია და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. ამავე პრინციპზეა აგებული სკოლის ვაკანტური პოზიციის კონკურსის წესით შევსების წესიც.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში წარმატების აღიარების მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს წახალისების სისტემა, რომელიც სკოლის შინაგანაწესშია და რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ან/და კეთილსინდისიერი ხანგრძლივი სამსახურისთვის. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა წახალისების შესახებ ბრძანების რამოდენიმე ნიმუში და ფოტოსურეთები, მათთვის დაკისრებული მოვალეობების საუკეთესო შესრულებისთვის. რაც შეეხება წარმატებული გამოცდილების გაზიარებას, სკოლას ამის შესახებ გაწერილი აქვს „ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის" დოკუმენტში, სადაც აღნიშნულია, რომ მოსწავლეებში სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით სკოლაში ხორციელდება კათედრებს შორის გამოცდილების გაზიარება და სამუშაო შეხვედრების მოწყობა (მუხ. 5.2). სკოლამ წარმოადგინა გამოცდილების გაზიარებია ამსახველი ფოტომასალა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- „დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოხოვნების შესახებ“.;
- პრემიის გაცემის ბრძანებები;
- წარმატებული გაზიარების ამსახველი მასალა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის დირექცია ესწრება გაკვეთილებზე, რომლის ფარგლებში ხდება საჭიროებათა გამოვლენა და განმავითარებელი შეფასების მიცემა. სკოლამ წარმოადგინა კიდეც გაკვეთილზე დასწრების გეგმა/გრაფიკი და გაკვეთილზე დასწრების შეფასება.

რაც შეეხება დანარჩენი თანამშრომლების შეფასებას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული რეგულაციები (მუხ. 14), რომლის თანახმად სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა შეფასებას და პროფესიული საჭიროებების დადგენას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

გაკვეთილზე დასწრებისა და თითოეული მასწავლებლის შეფასების შემდეგ, გამოვლენილი საჭიროების მიხედვით სკოლა ადგენს პროფესიული განვითარების გეგმას. პროფესიული განვითარების ერთ-ერთ აქტივობად კი, სკოლამ დაასახელა გაკვეთილზე ურთიერთდასწრების - „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკა. გარდა ამისა მასწავლებლები ესწრებიან სამუშაო შეხვედრებს და ტრენინგებს თავიანთი პროფესიული საჭიროების მიხედვით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

გასული წლების პრაქტიკიდან ჩანს, რომ კარიერულ ზრდას და პროფესიულ განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევს. სკოლაში არაერთმა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი, მათ შორის აღსანიშნავია 4 მასწავლებლისთვის განსაკუთრებული წესით სტატუსის მინიჭება, რომლის დროსაც სკოლა, თავისი ინიციატივით წარადგენს მასწავლებლის პორტფოლიოს მინისტრის წინაშე და შემდგომ ინტერვიუს დროს ადასტურებს კანდიდატების მხარდაჭერას. საჯარო სკოლების დაფინანსების ცვლილებასთან დაკავშირებით ტრენინგი გაიარეს სკოლის დირექტორმა და ბუღალტერმა; სკოლამ ხელი შეუწყო ხელოვნების მასწავლებელს პერსონალური გამოფენის მოწყობაში სკოლის ფოიეში, ხოლო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს - საკუთარი ლექსების სასკოლო საზოგადოებისა და თემის წინაშე პრეზენტაციისთვის ლიტერატურული საღამოს სკოლის ბიბლიოთეკაში, მოწყობაში. გარდა ამისა, ხელოვნების მასწავლებელმა სკოლასი გააკეთა თავისი ნახატების პერსონალური გამოფენა, რაცეც სკოლამ გამოუყო შესაბამისი სივრცე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მე-7 - მე-9 მუხლებით განსაზღვრულია თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები, აქტივობები და სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით თანამშრომელთა ვალდებულებები. რეგულაციის მიხედვით დადგენილია ადაპტაციის სამი ეტაპი: 1) მოლოდინები; 2) შეხვედრა; 3) „ოჯახის

წევრობა“. ადაპტაციის აქტივობები მოიცავს სკოლის დათვალიერებას, სკოლის ორგანიზაციული კულტურის, სასკოლო დოკუმენტაციის და მისი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, ასევე მისი წარდგენა სხვა თანამშრომლებთან და მისი ჩართვა სხვადასხვა ვირტუალურ ქსელებში და ჯგუფებში, მათ შორის ელექტრონულ ჟურნალში, Eflow-სა და Eschool-ის ბაზებში. ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებული ადგილი დათმობილი აქვს კათედრის თავმჯდომარეს, დირექტორის მოადგილეს და საქმისმწარმოებელს. რეგულაციაში გაწერილია მათი მოვალეობები ამ პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლას ჰყავს წარმატებული ადამიანური რესურსი. სკოლამ წარმოადგინა სერტიფიკატები, რომლებითაც საქართველოს განათლების სამინისტრო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო პროფესიული განვითარების მიმართულებით გამოვლენილი წარმატების წახალისების მიზნით გადასცემს სკოლის პედაგოგებს. გარდა ამისა, სკოლაში ხშირად ხდება წახალისება, მათ შორის პროფესიული განვითარების დროს გამოჩენილი წარმატებისთვის. რაც დასტურდება სკოლის მიერ გადმოგზავნილი წახალისების შესახებ გამოცემული ბრძანებებიდან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- გაკვეთილზე დასწრების მასალები;
- პროფესიული განვითარების გეგმა;
- დირექტორის მიერ პრემიის გაცემის ბრძანებები;
- სამინისტროს მიერ გაცემული თანამშრომელთა სერთიფიკატები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" (N01-03/25. 11.02.2025). დოკუმენტის მიხედვით სკოლაში მიმდინარე პროცესების შეფასება ხორციელდება ხარისხის მართვის ერთ-ერთ- გავრცელებული ციკლის (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე) მიხედვით. დოკუმენტით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის და პროგრამების დაგეგმვა, განხორციელება, ასევე მათი განხორციელების შეფასება, ასევე გათვალისწინებულია ადამიანური და მატერიალური რესურსის გაუმჯობესება, მათი შეფასების დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრით.
სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესებიც ასევე ექვემდებარება ამ ციკლის მოქმედებას. მაგალითად სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება განხორციელება შემოწმება/შეფასებისა და განვითარების ეტაპები. ასევეა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება და ბოლოს გადასინჯვა და რევიზია.
ინდიკარორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

საგანმანათლებლო ძირითადი პროცესები სკოლას აღწერილი აქვს „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში“ (და არა შინაგანაწესში და ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, როგორც თავად სკოლა აცხადებს თვითშეფასების დოკუმენტში, ამ დოკუმენტებში საერთოდ არ არის ასეთი პროცესების აღწერა). ამავე დოკუმენტში ნახსენებია, რომ ძირითად საგანმანათლებლო პროცესს კავშირი აქვს მმართველობით და დამხმარე პროცესებთან. სკოლა განმარტავს, რომ ამ პროცესებთან დაკავშირებული რეგულაციები გაბნეულია სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტში (თვითშეფასებაში ასახელებს საქმისწარმოების ინსტრუქციას, საქმისწარმოების მეთოდოლოგიას, შინაგანაწესს, შრომით ხელშეკრულებებს). მაგრამ ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის წესდების მე-5 მუხლის, 1-ლი, თ) ქვეპუნქტის მიხედვით სამეურვეო საბჭო განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს; წესდების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის მ) ქვეპუნქტის მიხედვით სკოლის დირექტორი გათვალისწინებული წესით განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს; წესდების მე-15 მუხლი განსაზღვრავს მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჩივრის განხილვის ზოგად რეგულაციებს (როდის იხილავს საჩივარს დირექტორი, როდის სამეურვეო საბჭო) და ვადებს, ასევე განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში არ განიხილება საჩივარი, თუ საჩივარში არ არის მითითებული რეკვიზიტები. ყოველივე ეს დაკონკრეტებულია დოკუმენტში რომელიც შემუშავებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“. რომელშიც აღწერილია უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების წესი ცალკე მოცემულია პერსონალისთვის, ცალკე მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“ (N01-03/17, 07.02.2025). დოკუმენტში აღწერილია მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და პერსონალის უფლებები ცალ-ცალკე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" და მისი დამტკიცების ბრძანება;
- „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია" და მისი დამტკიცების ბრძანება'
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი" და მისი დამტკიცების ბრძანება;
- სკოლის წესდება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების სხვადასხვა ხერხებს იყენებს. ერთ-ერთ საშუალებაა სკოლის საინფორმაციო დაფას, ასევე სკოლის/კლასების სოციალურ ქსელი, წარმატებით გამოიყენება სკოლის ვებ-გვერდი და TEAMS. გარდა ამისა კლასების მიხედვით ხდება ინფორმაციის გაცემა და უკუკავშირის მიღება მშობელთა კრებებზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის სტრუქტურული ერთეულები წარმომადგენლობითია, კერძოდ სამეურვეო საბჭოში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, ასევე შესაძლებელია სამინისტროს წარმომადგენელი, თემის წარმომადგენელი); ასეთივე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი; გარდა ამისა, სკოლის კოლეგიური ორგანოებია პედაგოგიური საბჭო, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; მოსწავლეთა თვითმმართველობა, სადაც მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს

ირჩევენ; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. ყველა ეს ორგანო უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში და დასტურდება ამ სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ოქმებით.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- სკოლის კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები და მათი შეხვედრების ოქმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო**

სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

ა) სკოლას ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია კარისკაცები, რომლებიც აკონტროლებენ უცხო პირთა გადაადგილებას სკოლაში. სკოლის სამიდან ორი შენობა (გარდა დაწყებითების N3 შენობა) აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით. გარდა ამისა სკოლას ჰყავს დარაჯები;

ბ) უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, საიდანაც მიღებული აქვს 28.03.2025, MIA 1 25 00937343 შეტყობინება;

გ) სკოლას ჰქონდა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (2024 წლის 11 ივლისის N851655 წერილი) ვიზიტამდე. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 28 აპრილს გაცემული <u>სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის</u> აქტები № 119 (კორპუსი N3), N126 (კორპუსი N2) და N127 (კორპუსი N1), რომელთა მიხედვის სკოლამ უნდა განახორციელოს გარკვეული აქტივობები სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რომელთა ნაწილის მოგვარება სკოლას უკვე დაწყებული აქვს.

დ) სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსადმი მიმართვის წერილი (27/05/2025, MES 5 25 0000581333), რომელშიც ითხოვს შენობათა ექსპლოატაციის უსაფრთხოების დადგენას. გარდა ამისა, სკოლამ მიმართა ქობულეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს (02.06.2025, MES 3 25 0000605974) შუამდგომლობის თხოვნით, დაფინანსება 3500 ლარი მიიღოს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან. ამასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან დასადები ხელშეკრულება. სკოლას ავტორიზაციის დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრული აქვს სკოლის შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება და ამ აქტივობის დასრულების თარიღად მითითებულია 13.10.2025.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N004354425, 07.07.2025, რომლის მიხედვითაც ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვაში საჯარო სკოლის შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, რომლებიც განთავსებულია ნაკვეთებზე საკადასტრო კოდებით 20.45.03.076. 20.45.02.069. 20.45.01.084. ამ გარემოების გათვალისწინებით ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექთანი. N1 შენობის პირველ სართულზე, როგორც ეს რეკომენდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით და მისი მოთხოვნათა დაცვით, განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. კაბინეტი აღჭურვილია სათანადოდ აღნიშნული ბრძანების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმები“ (10.02.2025, N01-03/23). საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მიხედვით, სკოლის N2 და N3 შენობებში განსაზღვრულია პირები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს პირველად სამედიცინო დახმარების აღმოჩენას მათი კომპეტენციის ფარგლებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა ახორციელებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესს. სკოლას ჰყავს მანდატური. შექმნილი ჰყავს მრჩეველთა საბჭო, განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირები (06.09.2024, N01-03/60).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

“ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების ერთ-ერთი მიზანი სწორედ “ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაა”. რადგან სკოლა ახორციელებს ამ ბრძანების მოთხოვნებს, შესაბამისად უზრუნველყოს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. ბრძანების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სკოლაში

გამოკრულია მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის, სახალხო დამცველის, განათლების სამინისტროს, მანდატურის ნომერები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

„მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმებში“ განსაზღვრულია, რომ სკოლის მედიკოსი ხელმძღვანელობს სკოლის „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცესს“, ასევე აკონტროლებს და ყოველდღიურად ატარებს მონიტორინგს კლასების დერეფნების, ტუალეტების და ბუფეტის სისუფთავის შემოწმებაზე. სკოლის ექთანმა ინტერვიუს დროს ისაუბრა, რომ კონტროლს უწევს დამლაგებლების მიერ შენობის დასუფთავების ხარისხს და აძლევს მათ შესაბამის რეკომენდაციებს. თავის მხრივ დამლაგებლებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოვალეობებში არის ისეთი მოვალეობები, რომლებიც სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფას ემსახურება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას დამტკიცებული აქვს ,,პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის'' დოკუმენტი (08.04.2024, N01-03/16,). სკოლას მოპოვებული აქვს მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების თანხმობები პერსონალურ მონაცემების დამუშავებაზე. სკოლის მიმართვის საფუძველზე ქობულეთის რესურსცენტრმა სკოლას გამოუყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იცავს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ინფორმაცია, რომელიც მატერიალური სახით არსებობს დაცულია სკოლის არქივში, გარდა ამისა სკოლაში არსებული ინფორმაცია არის ელექტრონულ მატარებლებზე - მონაცემთა ელექტრონული ბაზის სახით, რომელიც ასევე დაცულია გარეშე პირთა წვდომისგან. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში. სკოლას დამტკიცებული აქვს „ინფორმაციის დაცვის მექანიზმების დებულება“ (07.05.2025, N01-03/46), რომლის მიხედვით განსაზღვრულია ინფორმაციის

დაცვის შესრულებაზე უფლებამოსილი პირები (დირექტორი და მისი მოადგილე) და დადგენილია ინფორმაციის დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარადგენს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე. მრჩეველთა საბჭოს მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს ითვალისწინებს მომავალ მუშაობაში.,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **სკოლას ეძლევა რჩევა** იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ აქტები N119, N126 და N127;
- სკოლის მიმართვა ქობულეთის რესურსცენტრს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან დაფინანსების მოპოვების შუამდგომლობით ;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან დასადები ხელშეკრულება;
- მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მსობლების პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თანხმობები;
- ინფორმაციის დაცვის მექანიზმები და მისი დამტკიცების ბრძანება;
- ექთნის პირადი საქმე;
- დამლაგებლების ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და მათი საქმიანობის ამსახველი ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - ქობულეთის მინიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა ფუნქციონირებს სამ შენობაში, რომელთა მესაკუთრეა სახელმწიფო და სკოლას გადაცემული აქვს არსებობის ვადით. ინფორმაცია შენობების საერთო ფართისა და იქ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში

შენობის N	**საკადასტრო კოდი**	**სართულიანობა**	**საერთო ფართი მ²**	**მიწის ნაკვეთის ფართი მ²**	**განხორციელებული პროგრამა**	**მოსწავლეთა რაოდენობა**	**შენიშვნა**
N1	20.45.03.076	3	2040,2	3441,0	დაწყებითი, საბაზო, საშუალო	178	სწავლობენ 1-12 კლასები
N2	20.45.01.084	2	1341,5	2238,0	დაწყებითი, საბაზო	50	სწავლობენ 1-9 კლასები

N3	20.45.02.069	2	163,2	399,0	დაწყებითი	14	სწავლობენ 1-4 კლასები

სკოლის N1 შენობის 0 სართულზე სპორტული დარბაზია, პირველ სართულზე ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, სახელოვნებო სივრცე და ბიჭების სველი წერტილებია. მეორე სართულზე საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი, მანდატურის კაბინეტი, ბუფეტი და გოგონების სველი წერტილებია. მესამე სართულზე საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, კომპიუტერული კაბინეტი და ინგლისური ენის კაბინეტია. შენობის ეზოში სპორტული მოედანია, რომელიც საჭიროებს რემონტს.
სკოლის N2 შენობის 0 სართულზე სპორტული დარბაზია, პირველ სართულზე რესურს ოთახი, საკლასო ოთახი და სველი წერტილებია. მეორე სართულზე საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, მანდატურის კაბინეტი, კომპიუტერული კაბინეტი და ბუფეტია. შენობის ეზოში სპორტული მოედანია.
სკოლის N3 შენობის პირველ სართულზე საკლასო ოთახები და სველი წერტილებია. მეორე სართულზე საკლასო ოთახები და სამასწავლებლოა. შენობის ეზოში საბავშვო მოედანია.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი და სხვა), მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრონციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას დამკიცებული აქვს მატერიალური, მათ შორის სპორტული რესურსების სარგებლობის წესი (N01-03/32, 17.02.2025). რომელშიც აღნიშნულია, რომ მატერიალური რესურსების სარგებლობის ძირითადი პრინციპია თანაბარი ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. გარდა ამისა სკოლას დამტკიცებული აქვს კომპიუტრული, საბუნებისმეტყველო, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, აქვს ბიბლიოთეკა და დებულება ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ (N01-03/26, 11.02.2025) რომელშიც აღწერილია ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სხვა. ბიბლიოთეკის წიგნების ნაწილი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, ნაწილი წიგნებისა დამუშავების პროცესშია (კონკრეტულად კი საჭიროებს ხელახალ დამუშავებას, რადგან გადმოცემულია სასოფლო ბიბლიოთეკიდან და საჭიროებს სკოლის ინვენტარიზაციაში აღრიცხვას). წიგნები დალაგებული ანბანური წესით. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა მეტწილად ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ, სამივე შენობას აქვს პანდუსი პირველ სართულზე შესასვლელად, მაგრამ სართულებზე გადასაადგილებელი საშუალება არ არის. სკოლის N1 და N3 შენობას არ აქვს სრულად ადაპტირებული საპირფარეშო. (N1 შენობის სრულად ადაპტირებისთვის საჭიროა შესასვლელის რეკონსტრუქცია, სახელურების მონტაჟი და საკალალიზაციო არხის რეაბილიტაცია, ხოლო N3 შენობის საპირფარეშოს სახელურის მონტაჟი და შესასვლელის რეკონსტრუქცია). სკოლის N2 შენობას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლას აქვს რესურს ოთახი N1 შენობაში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით და ტექნიკით. რესურს ოთახი მდებარეობს შენობის პირველ სართულზე. სკოლამ წერილი მისწერა (N391028, 08.04.2025) ქობულეთის რესურსცენტრს, შუამდგომლობის თხოვნით შესაბამის ორგანოებთან, რათა სკოლის N1 და N2 შენობებში მოეწყოს სრულად ადაპტირებული გარემო. თუმცა, იმის გამო, რომ არც N3 შენობის ინფრასტრუქტურაა სრულად ადაპტირებული, სკოლამ ვიზიტის მიმდინარეობისას კიდევ ერთხელ მისწერა ანალოგიური წერილი რესურსცენტრს (წერილი N645764, 10.06.2025) და მოთხოვნაში N3 შენობის ადაპტირებაც დაამატა. გარდა ამისა სკოლას რესურსცენტრში გაგზავნილი აქვს კიდევ ერთი წერილი (02.05.2025, MES 0 25 0000470511), რომელშიც ასევე ითხოვს სველი წერილებისა და სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოებში დახმარებას. საგულისხმოა, რომ სკოლამ საავტორიზაციო მასალებთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ ამ შეუსაბამობის გამოსწორებას სკოლა გეგმავს 10.04.2025-10.04.2026 პერიოდში.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს წერილი (MES 9 25 0000796276, 01.07.2025) მიწერილი ქობულეთის რესურსცენტრს, რომელშიც სამინისტრო იტყობინება, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლას მიმდინარე წელს ჩასვამს ქვეპროგრამაში „საკარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“, რომლის ფარგლებშიც მოხდება „საპირფარეშოების, მათ შორის ადაპტირებული, მოწყობა-რეაბილიტაცია და სხვა მასთან დაკავშირებულისამუშაოები“.

რაც შეეხება მოწოდებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, სკოლას აღნიშნულის მოგვარების ვადად განსაზღვრული აქვს 01.06.2025. - 30.10.2025 პერიოდი. აღსანიშნავია, რომ ეს პერიოდი სკოლამ შეამცირა, სამინისტროს წერილის გამო, რადგან თავდაპირველად სკოლა შენობების რეაბილიტაციისთვის გეგმავდა უფრო დიდ პერიოდს (იხ. წინა აბზაცი).
ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ხშირად გამოიყენება კულტურულ ღონისძიებათა განხორციელების ადგილად. სკოლის ბიბლიოთაკაში ხშირად იმართება დისკუსიები მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობით. სკოლაში ხდება შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, მათ შორის მშობლებთან. სკოლის ფოიეში ეწყობა პერსონალური გამოფენები ხელოვნების მასწავლებლის, ბიბლიოთეკაში პოეზიის საღამო პოეტ-მასწავლებლის. ამ აქტივობებზე მოწვეული იყვნენ რესურსცენტრის, თემის, სასკოლო საზოგადოების, ქობულეთის მუზეუმის და ასევე მუნიციპალიტეტში შემავალი სხვა სკოლის წარმომადგენლები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 20.45.03.076; 20.45.01.084; 20.45.02.069)
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და მისი დამტკიცების ბრძანება;
- ბიბლიოთეკის დებულება და მისი დამტკიცების ბრძანება;
- წერილები რესურსცენტრში სკოლის შენობების სრულად ადაპტირების უზრუნველსაყოფად შესაბამის ორგანოში შუამდგომლობის თხოვნით;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სარგებლობის წესი და მისი დამტკიცების ბრძანება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არის 10 პერსონალური კომპიუტერი, 5 ლეპტოპი, 5 პროექტორი, 4 პრინტერ-სკანერი, 1 ფერადი პრინტერი, 2 პრინტერი. მათგან კომპიუტერულ კლასებში გამოიყენება 4 კომპიუტერი, დანარჩენი სამასწავლებლოში, სახელოვნებო სივრცეში, დირექციის და ადმინისტრაციის კაბინეტში. ხელმისაწვდომია ინტერნეტი, მათ შორის უკაბელო ინტერნეტი. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ნაწილია ვებ-გვერდი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან ერთად ხელს უწყობს ადმინისტარაციული და სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას მოთხოვნილი ჰქონდა კომპიუტერული ტექნიკა და 2025 წლის 11 აპრილს ქობულეთი რესურსცენტრისგან მიიღო წერილი N402685, რომლითაც სკოლას ატყობინებენ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული რაოდენობების შესაბამისად სკოლა 2025 წელს მიიღებს 40 ცალ პორტაბელურ კომპიუტერს, 2 პრინტერს და 4 პროექტორს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის სარგებლობის წესი (N01-03/27, 11.02.2025). წესის მიხედვით მიხედვით ლაბორატორიის სარგებლობის ძირითადი პრინციპებიდან აღსანიშნავია მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. დოკუმენტში განმარტებულია რა უფლება აქვს მოსწავლეს მასწავლებელს და სკოლის სხვა თანამშრომელს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობისას და რა ეკრძალებათ. სკოლას აქვს ციფრული განვითარების გეგმა 2025-2027 წწ. გეგმის მიხედვით სკოლას განზრახული აქვს შექმნას ციფრული სკოლის

მოდელი 3-10 კლასებისთვის. განსაზღვრულია საჭირო ტექნოლოგიური რესურსი და მოსალოდნელი შედეგები. ასწყის ეტაპზე სკოლა გეგმავს ჩართოს დასწყებითი საფეხურის მოსწავლე-მასწავლებელი, ხოლო შემდეგ საბაზო საფეხურის მოსწავლე-მასწავლებელი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის სარგებლობის წესი;
- ციფრული განვითარების სტრატეგია;
- სკოლის ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/435?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90 ;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის მიერ საავტორიზაციო დოკუმენტაციიდან გაირკვა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების მეთოდოლოგია“ (01-03/10, 06.02.2025) და „საქმისწარმოების წესი“ (01-03/10, 06.02.2025). ორივე დოკუმენტი ძირითადად კანონის შესაბამისია, თუმცა მათ შორის არის მცირე განსხვავებები ისეთ რეგულაციებზე, რომელიც კანონით ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. მაგალითად:

1) <u>მეთოდოლოგიით</u> განსაზღვრული იყო, რომ რეგისტრაციას ექვემდებარება თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები (იხ. ქვეთავი „**დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები**“), <u>საქმისწარმოების წესით</u> კი, პირდაპირაა მითითებული, რომ ეს შრომითი ხელშეკრულებები არ საჭიროებს რეგისტრაციას (იხ. მუხ.5 პუნქტი 6. ქვეპუნქტი ვ));
2) მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სამი ტიპის დოკუმენტი: ა) შემოსული; ბ) გასული; გ) შიდა დოკუმენტაცია (ბრძანებები მიკუთვნებულია შიდა დოკუმენტაციას), ხოლო საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია 4 ტიპის დოკუმენტი (რადგან ბრძანებები გამოყოფილია შიდა დოკუმენტის კატეგორიიდან) ა) შემოსული; ბ) შიდა დოკუმენტაცია; გ) გასული; დ) ბრძანებები. გარდა ამ შეუსაბამობისა, არის კიდევ რეგულაციები, რომელიც შეთანხმებას და სინქრონიზაციას საჭიროებს. მაგალითად: ამასთანავე <u>არის რეგულაციები, რომელიც დუბლირებულია</u> და <u>რეგულაციები, რომელიც მხოლოდ ერთ მათგანშია და მეორეში არ არის</u>. **სკოლას ეძლევა რჩევა: შესაბამისობაში მოიყვანოს ერთმანეთთან „საქმისწარმოების მეთოდოლოგია“ და „საქმისწარმოების წესი“, ან გააერთიანოს და შექმნას ერთი სრულყოფილი დოკუმენტი**.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow)-ში. სკოლის ყველა თანამშრომელს გააჩნია საკუთარი პროფილი ამ სისტემაში. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო **echool.emis.ge** სისტემაში. ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელებაა “სსიპ - ქობულეთის მინიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა”. პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს თავისი საქმიანობის შესახებ იმ უწყებებს, რომლებიც ერთჯერადად ან სისტემატიურად უფლებამოსილი არიან მიიღონ ასეთი სახის უკუკავშირები. მაგალითად, სისტემატიურად, ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის, სკოლა აწვდის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს და ასევე ანგარიშს აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფომრაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი - სკოლის საქმისმწარმოებელი. ყოველწლიურად სკოლის ბუღალტერი სკოლის ბალანსს წარუდგენს საგანმანათლებლო რესურსცენტრს. ასევე ყოველწლიურად სკოლის დირექტორის ვალდებულია 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს ანგარიში წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
- სკოლის „საქმისწარმოების მეთოდოლოგია“;;
- სკოლის „საქმისწარმოების წესი“;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- სკოლის დირექტორის წარდგენილი ანგარიში სამეურვეო საბჭოს წინაშე;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანებით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ანგარიშით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც სკოლის შესახებ ზოგადი სახის ინფორმაციაა ასახული. ვებ-გვერდზე არის სკოლასთან საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ ინფორმაცია (მითითებულია სკოლის ფეისბუქ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი). მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციის საშუალებად გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. გარდა ამისა დამრიგებლებს მშობლებთან აქვთ სატელეფონო ან/და სოციალური ქსელებით კომუნიკაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული აქტივობის ამსახველი მასალა, არის სანდო და უტყუარი. რაც დასტურდება გამოქვეყნებული მასალისა და განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალის და ინტერვიუს დროს მოპოვებული ინფორმაციის თანხვედრით

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა აცხადებს, რომ სასკოლო საზოგადოების აზრი მისთვის მნიშვნელოვანია, ამიტომ ხშირად ხდება მათი გამოკითხვები და მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება სკოლის სხვადასხვა საქმიანობაში. მაგალითად ფილოსოფიის შემუშავების პროცესსი, სსკოლამ გაითვალისწინა სასკოლო საზოგადოების არზრი. სკოლამ ასევე წარმოადგინა მშობელთა კმაყოფილების კვლევის მასალები, რომელშიც კითხვები ეხება მშობელთა კმაყოფილებას სკოლის ინფრასტრუქტურას, დირექციასთან ურთიერთობას, სწავლებას და არაფორმალურ განათლებას და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია დევს ქართულ ენაზე - იმ ენაზე, რა ენაზეც სკოლა ახორციელებს სწავლებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის აქვს ვებ-გვერდი და ვებ-გვერდზე განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა და საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. ასევე არის ინდიკატორით მოთხოვნილი ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები. ასევე, ფინანსური მდგრადობის შესახებ და სამოქმედო გეგმის ანგარიში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელი გვერდი;
- მშობელთა კმაყოფილების კვლევის მასალები;
- სკოლის ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/435?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90 ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. ბიუჯეტი და ოქმი ვებ-გვერდზეცაა ატვირთული. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსით შესაძლებელია სამოქმედო გეგმის განხორციელება. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ვთქვათ, რომ სკოლა გააგრძელებს სამოქმედო გეგმის შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების შეტანა. სკოლა ყოველი ფინანსური წლის დაწყებამდე ამტკიცებს შესყიდვების გეგმას, რომლის დამტკიცებისას გათვალისწინებულია წინა წლის გამოცდილება (მონიტორინგისა და შეფასების გზით), ფინანსების განკარგვა ხდება დამტკიცებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილების შეტანა შესყიდვების გეგმაში. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის წარსდეგება სამეურვეო საბჭოს წინაშე ანგარიშით, მათ შორის ფინანსური ანგარიშითაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დამტკიცებული შესყიდვების გეგმა;
- დირექტორის ყოველწლიური ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

საავტორიზაციოდ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში იყო ორი დოკუმენტი: „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“ (N01-03/17, 07.02.2025) და „სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით“ (N01-03/19, 07.02.2025), რომლებიც მოსწავლეთა უფლებების დაცვას და ამ უფლებათა დარღვევის დროს გასაჩივრებას ეხებოდა. რადგან ამ მექანიზმებში იყო მცირედ განსხვავებული პროცედურები, ვიზიტის დროს, სკოლამ ექსპერტთ ჯგუფს ამცნო, რომ ერთ-ერთი მათგანი - „სკოლის ჩარჩო რეგულაციის

დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით“ (N01-03/53, 29.0.2025) გააუქმა და ამიტომ, ვიზიტის დროს გადმოგზავნილ დოკუმენტებს შორის არის ამ დოკუმენტის გაუქმების ბრძანებაც.

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას ემსახურება სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლას ჰყავს ექთანი, მანდატური, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. ყველა ეს პირი/სტრუქტურული ერთეული მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტორები არიან. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სამინისტროს, მანდატურის, სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომრები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

„მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“,„სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით“ რეფერირების წესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი და სხვა შიდა რეგულაციები გამოკრულია სკოლაში, თვალსაჩინო ადგილას და სკოლის ვებ-გვერდზე და უზრუნველყოფილია მათი გამჭვირვალეობა. ამ დოკუმენტების შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე ჩართული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რითაც უზრუნველყოფილია გაზიარებულის ნაწილიც. გამჭვირვალობას და გაზიარებას ემსახურება ისიც, რომ სასწავლო წლის დასაწყისში „სადამრიგებლო დებულების“ შესაბამისად დამრიგებლების მეშვეობით ხდება ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების გაცნობა მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელიც ტიპიურია საჯარო სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დასადები ხელშეკრულების ნიმუშის, და რომელიც ყოველ სასწავლო წელს დაიდება სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/მის კაანონიერ წარმომადგენელთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები";
- „სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით"
- რეფერირების წესი;
- მშობელთან დასადები ხელშეკრულების ნიმუში.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცება" (N01-03/19, 07.02.2025), რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, ჩარიცხვა და სტატუსი შეჩერება - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის; მობილობა - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანების, კლასის/საფეხურის დაძლევა - ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების შესაბამისად. საფეხურის დაძლევის შესახებ სკოლას ჩაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა, სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცება“. სკოლა იცავს შემუშავებულ წესებს, რის დამადასტურებლადაც წარმოადგინა დირექტორის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში მოქმედებს კლუბები მკითხველთა კლუბი „მწიგნობრები“; ეკო კლუბი; თექის კლუბი - „ბატკნები“; ხეზე კვეთა - „ქსილოგრაფია - ჩემს გაკვეთილზე“ თითოეული მათგანის პირობების, ფასიანი/უფასო მომსახურეობის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე სოციალურ ქსელში თითოეული კლუბის საკუთარ გვერდზე. გარდა ამისა ინფორმაცია ეგზავნებათ მოსწავლეებსა და მშობლებს სოციალური ქსელის შიდა ჯგუფებში. აღნიშნული აქტივობები დარეგულირებულია კლუბების წესდებებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა პროგრამების, მომსახურეობების და სხვადასხვა სერვისების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ვებ გვერდის ან/და სოციალური ქსელის ან/და სკოლის საინფორმაციო დაფის, ან/და პერსონალის მეშვეობით. გავრცელებული ინფორმაცია არ არღვევს კანონმდებლობას, არ არის დისკრიმინაციული, გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ინფორმაცია არის განახლებადი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების წესი“ და მისი დამტკიცების ბრძანება;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის, კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანებები;
- კლუბების წესდებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ (N01-03/62, 12.09.2023), რომელიც წარმოადგენს არა მარტო პირველკლასელთა და მობილობით გადმოსულ მოსწავლთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობ მექანიზმს, არამედ სსსმ მოსწავლეთა და საფეხურიდან საფეხურზე გადასულ მოსწავლეთა მხარდამჭერ მექანიზმს. წესით განსაზღვრულია წარმატებული ადაპტაციის და დეზადაპტაციის ნიშნები; რეკომენდაციები წარმატებული ადაპტაციისთვის და დეზადაპტაციისას განსახორციელებელი ღონისძიებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლამ წარმოადგინა ადაპტაციის ამსახველი ფოტოები, რომელიც ეხება პირველ კლასში შემომსვლელი საბავშვო ბაღის დამამთავრებელი ჯგუფის მოსწავლეებისთვის სასკოლო გარემოს გაცნობას და ღონისძიების მოწყობას

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლას დამტკიცებული აქვს რემედიაციის პროგრამა (01-03/18, 07.02.2025), რომელიც იმ მოსწავლეების ითვალისწინებს, რომლებსაც უდასტურდებათ არადამაკმაყოფილებელი მიღწევები საგნობრივ კომპეტენციებსა და გლობალურ-ფუნქციურ უნარებში. **სკოლას ეძლევა რჩევა რემედიაციის წესში გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმის მე-8 მუხლის, მე-8 პუნქტით განსაზღვრული <u>იმ მოსწავლეების ჩართვაც, რომლებიც არიან სკოლის მიღმა ან იმყოფებიან სკოლის მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ.</u>** გარდა რემედიაციის პროგრამისა, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სკოლას დადგენილი აქვს დიაგნოსტიკური წერები, რომლის მიზანი მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და შემდეგ შესაბამისი ინტერვენციების განხორციელებაა. ასეთივე მიზანი აქვს შემაჯამებელი დავალებების ანალიზებსა და კომპლექსური დავალებების შემდეგ განმავითარებელი კომენტარების მიცემას. ამასთან ერთად, მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებასა და მხარდაჭერას ემსახურება სასწავლო პროცესში გამოყენებული განმავითარებელ შეფასებები, მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდების ჩატარებემდე საკონსულტაციო შეხვედრები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა განათლების შეუზღუდავად მიღებისათვის მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მაგალითად, აღსანიშნავია ადმინისტრაციული მხარდაჭერა მოსწავლეთა ისეთი უფლებების გასახორციელებლად, როგორიცაა კლუბების შექმნის უფლება - სკოლაში შექმნილია რამოდენიმე კლუბი. სკოლის განცხადებით, ადმინისტრაცია და არსებული ადამიანური რესურსი მუდმივად ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისთვის. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითთმართველობასთან. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს, მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ მათი უფლებების და მოვალეობების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში, სკოლა მზადაა განახორციელოს შინ სწავლების პროცედურები იმ ტიპის მოსწავლეებისთვის, რომლებიც ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაციის გამო ვერ ახერხებს სკოლაში გამოცხადებას; მოსწავლეთა უფლებების რეალიზაციას უკავშირდება ასაკობრივი ექსტერნის გამოცდები, რომლის ჩატარების პრაქტიკა არის სკოლაში და სხვა

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. მოსწავლეთა თვითმმართველობა ფუნქციონირებს და აქტიურად არის ჩართული სასკოლო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. მიმდინარე წელს, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით არაერთხელ განხორციელდა საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა სიმსივნით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად. სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა კლუბები. კლუბების ხელმძღვანელები სათანადო კვალიფიკაციის პერსონალია. გარდა ამისა, სკოლა ჩართული იყო საგანამანთლებლო პროექტებსა და პროგრამებში, სპორტულ შეჯიბრებებში. ყველა შემთხვევაში აქტივობები ხორციელდება კვალიფიციური კადრის მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას აქვს აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ამის მაგალითია მოსწავლეთა თვითმმართველობის უკუკავშირის საფუძველზე შექმნილი კლუბების ფუნქციონირება. გარდა ამისა სკოლა სასწავლო წლის ბოლოს აკეთებს ხოლმე ე.წ. კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა მომსახურეობის გაუმჯობესება. ასეთი უკუკავშირები ხშირია სკოლაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ და მისი დამტკიცების ბრძანება;
- „ტრანზიციის დებულება“ და მისი დამტკიცების ბრძანება;
- კმაყოფილების კვლევის მასალები;
- სასკოლო კლუბების წესდებები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარებასა და კარიერულ დაგეგმვას. მე-9-11 კლასის სადამრიგებლო პროგრამები ითვალისწინებს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა „პროფესიის არჩევა"; „კარიერული გეგმების შედგენა"; „პროფესიის შერჩევის კრიტერიუმები" და სხვა. სკოლაში არსებობს თექის და ხეზე კვეთი კლუბები, სკოლას გააჩნია შესაბამისი სივრცე და სათანადო ადამიანური რესურსი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ამ პროფესიების შესწავლის და შემდგომში სწავლის ამ მიმართულებით გაგრძელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას სკოლის საბაზო ან/და საშუალო საფეხურის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა შესაძლებლობებზე. ამ მიზნით სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯთან ,,ახალი ტალღა", სკოლის ინიციატივით მოსწავლეები სტუმრობდნენ კოლეჯს, სადაც გაეცნენ სხვადასხვა სპეციალობებს. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, რამდენიმე მოსწავლემ სწავლა გააგრძელა კიდეც პროფესიულ სასწავლებელში. გარდა ამისა სკოლა თანამშრომლობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მოსწავლეები სტუმრად იყვნენ უნივერსიტეტში, გაეცნენ უნივერსიტეტის ფაკულტეტების და პროგრამებს. გარდა ამისა, სკოლაში ვიზიტით სკოლაში იმყოფებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლები, ადგილზე ესაუბრნენ მოსწავლეებს უნივერსიტეტში არსებულ პროგრამებზე. ამასთან ერთად სკოლაში სტუმრად იყვნენ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. სკოლამ წარმოადგინა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი სასკოლო ღონისძიებების განრიგი, სადაც სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლაც არის, როგორც ერთ-ერთი აქტივობის სამიზნე ჯგუფი. გარდა გარე აქტორებისა, მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდება კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მეშვეობით, ხოლო მშობლებს ინფორმაცია მიეწოდება მშობელთა კრებებზე და ინდივიდუალურ შეხვედრებზე. ინფორმაცია ვრცელდება ყველა საკომუნიკაციო არხის საშუალებით, რომელიც სკოლას გააჩნია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და მიღებულ უკუკავშირს. უფროსი კლასის დამრიგებლები მოსწავლეებთან შეხვედრების ჩატარების და გამოკითხვის საფუძველზე იღებენ ინფორმაცია, თუ რომელი სასწავლებლის და რა პროფესიის შესახებ ისურვებდნენ მეტი ინფორმაციის გაგებას და შემდეგ ამის საფუძველზე აწვდიან მოსწავლეებს განახლებულ ინფორმაციას თვითონ ან უშუალოდ მოსწავლეთა საინტერესო სასწავლებლების პერსონალის დახმარებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი კოლეჯი ,,ახალი ტალღა“;
- ბსუ - ს ბრძანება დაგვას სკოლის აქტივობების შესახებ;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- კლასსაათი - პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლამ წლის დასაწყისში შექმნა ისგ ჯგუფები 3 სსსმ მოსწავლისთვის (01-03/66, 13.09.2024). ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. დაცულია კონფიდენციალობა. ბავშვის თავისებურებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. საჭიროების

შემთხვევაში ცვლილება შედის ისგ გეგმაში. ისგ ჯგუფი იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ. ისგ სხდომის ოქმები ინახება მოსწავლის პირად საქმეში. ისგ ჯგუფების შემდეგ დაამტკიცა ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა (01-03/69, 13.09.2024), სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება. გარდა ამისა, მეორე სემესტრის დასაწყისში დაამტკიცა „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაცია“ (01-03/28, 12.02.2025), რომელიც არეგულირებს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმს. დოკუმენტში გაწერილია პროცედურები, რომელიც საჭიროა მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვისთვის, სსსმ სტატუსის იდენტიფიცირებისთვის და მისი სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ინტეგრირებისთვის. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია რა როლი აქვთ პროცესში კლასის დამრიგებელს, საგნის მასწავლებელსა და სპეც მასწავლებლებს; განსაზღვრულია რა დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს სკოლამ და რა პროცედურებია გასავლელი სსსმ სტატუსის მინიჭება/მოხსნისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლამ წარმოადგინა გასული წლის ინკლუზიური განათლების მონიტორინგის დასკვნა, რომელიც მისი შედგენიდან დადგენილ ვადაში გადაეგზავნა სამინისტროს. დასკვნაში აღნიშნულ ხარვეზებისა და შენიშვნების გათვალისწინება ხდება მომავალი ინდგეგმის შემუშავებისას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სკოლა სსსმ მოსწავლის წინსვლისთვის და განვითარებისთვის გამოიყენებს წინარე გამოცდილებას, რომელშიც სასკოლო საზოგადოება იყო ჩართული. სასკოლო საზოგადოება მოსწავლის წინსვლისა და განვითარებისთვის, მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესშიც აქტიურად არის ჩაბმული. სკოლამ წარმოადგინა ინდგეგმების შემუშავების ჯგუფის ბრძანება და შეხვედრების ოქმები. ისგ ჯგუფის წევრები არიან მოსწავლის მშობელი, სპეცმასწავლებელი, დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები. თითოეული მათგანის ჩართულობისა და თანამშრომლობის მიზანია დაეხმაროს მოსწავლეს წინსვლასა და განვითარებაში.

ინიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა და მისი დამტკიცების ბრძანება;
- ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაცია და მისი დამტკიცების ბრძანება;
- ბრძანება შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ბრძანება შიდა მონიტორინგის ჯგუფის ცვლილების შესახებ;
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას აქვს მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამა, რომელიც მოსწავლეთა ტრანსპორტირებას ახორციელებს რამდენიმე მიმართულებიდან (სოფლის სხვადასხვა უბნიდან. აღნიშნული მომსახურება ხორციელდება სამინისტროს მიერ შეთავაზებული პროგრამის ფარგლებში.

სკოლაში იჯარით გაცემულ ფართში ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული სექცია და ბუფეტი. სკოლას მოპოვებული აქვს შესაბამისი ნებართვები ჯერ სამეურვეო საბჭოსგან, შემდეგ განათლებისა, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსგან და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან. ფართი იჯარით გაცემულია აუქციონის წესით, ხოლო აუქციონის გამოცხადებამდე ფართის საიჯარო ფასი განსაზღვრულია დამოუკიდებელი აუდიტის მიერ. ბუფეტის მეპატრონე დარეგისტრებულია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში. ბუფეტს გავლილი აქვს სურსათის ეროვნული სააგენტოს შემოწმება,

თავის მხრივ სკოლას განსაზღვრული ჰყავს მონიტორინგის ჯგუფი და პერიოდულად ახორციელებს ბუფეტის საქმიანობის მონიტორინგს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

2024-2025 სასწავლო წელს სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობას კლუბების სახით, რომლებშიც მონაწილეობა მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. თითოეულ მათგანში მონაწილეობის წესი ნებაყოფლობითია და განასაზღვრულია კონკრეტული კლუბის წესდებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ მოსწავლეთათვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურეობები ხორციელდება უსაფრთხო გარემოში და დაცულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- იჯარის ხელშეკულებები;
- აუდიტის დასკვნა საიჯარი ფართის ფასის დადგენის შესახებ;
- განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა, ფართის გაიჯარების შესახებ;
- ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა ფართის გაიჯარების შესახებ;
- კლუბების წესდებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მისცემს სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. იგი გაწერილი და წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიურ დოკუმენტში. ასევე სკოლის მიერ შექმნილ და განხორციელებულ ღონისძიებებსა თუ მექანიზმებში, სადაც სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება იკითხება. მაგალითად, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სკოლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურებების შეთავაზებები; მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში; თანმდევი ღონისძიებების განხორციელება; საგნობრივი კათედრების მიერ შესაბამისი მიმართულებით სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა საკითხის განხილვა კათედრების მიერ; შემაჯამებელი დავალებების ანალიზის შემუშავება; ასევე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები. ისევე როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში, რომლებსაც თან ახლავს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტი და შემოქმედებით დავალების ბარათები. შემოქმედებით დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და შემოქმედებითი დავალების მოდიფიცირებას. გამოცდილებაზე დაფუძნებულ, ახლადშემუშავებულ კურიკულუმში გამიზნული ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცება, სასკოლო საზოგადოების ნაყოფიერი ჩართულობა, სხვადასხვა პროექტის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება, გასვლითი გაკვეთილების გამოცდილება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას უზრუნველყოფს. სკოლის სამომავლო გეგმები, საკუთარ პრაქტიკაში დახვეწოს მექანიზმები და სისტემატურად გამზადდეს შესაბამისი დოკუმენტები, უპირობოდ გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები სწავლა-სწავლებაში, კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმვაში, რაშიც გააზრებულია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესთა თანხვედრა, აღნიშნული ინდიკატორის დაფარვის შესაძლებლობას იძლევა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიასა“ და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. კურიკულუმის შემუშავება ეყრდნობა მასწავლებლის რეფლექსიასა და თვითრეფლექსიას. მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია, უზიარებენ ერთმანეთს შეხედულებებს და მსჯელობენ სწავლა-სწავლების მდგრადობაზე და კლასების სუსტ და ძლიერ მხარეებზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილებების ადაპტირება. მათ მიერ გუნდურად შემუშავებული კურიკულუმი არის უშუალოდ ამ სკოლის მოსწავლეების განვითარების გზის ამსახველი დოკუმენტი. რაც ნათლად ჩანს, კათედრის ოქმი, მასწავლებლის საგნის ანგარიში, მშობელთა კრების ოქმი, კურიკულუმები, ბრძანება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას აქვს გამოცდილება, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, ხელმისაწვდომი და საჯარო იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვი.: მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები ატვირთულია და გაზიარებულია სოციალური ქსელების საშუალებით, განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე სკოლის ფოიეში და სასწავლო წლის დასაწყისშივე გაცნობილია მშობელთა კრებეზე, დოკუმენტურად უკუკავშირი აისახება მშობელთა კრებების პირველ ოქმში. პროცესებისადმი ამგვარი მიდგომა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს უვითარებს მიკუთვნებულობის განცდას, რომელიც აღიქმება, როგორც ყველას პროდუქტი, როგორც თითოეულის სასკოლო ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. ამისათვის კი აუცილებელია ინფორმირება, უკუკავშირი და პასუხიმგებლობაზე დაფუძნებული ჩართვა პროცესებში. კათედრაზე მასწავლებლებს გათავისებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, რასაც უფრო ფართოდ გაასაჯაროებენ სკოლის ვებ –გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ;

- მშობელთა კრების ოქმი;
- მასწავლებლის საგნის ანგარიში;
- კათედრის ოქმი;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- მშობელთა გამოკითხვის ანკეტა;
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და მისი შედეგები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან მასში ასახულია თუ რა თემებს, საგნობრივ საკითხებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს ეროვნულის სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. საგნობრივ კურიკულუმებში რამდენიმე თემის ფარგლებში მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეა, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ერთ ან რამდენიმე სამიზნე ცნებას). უპირატესობა ენიჭება ისეთი დავალების პირობის შემუშვებას, რომელშიც კონტექსტ-მაგალითი მოსწავლისთვის ნაცნობი გამოცდილებაა, შეიცავს პრობლემას, დილემას, რომელთა გადაჭრაც მოსწავლეს სამიზნე ცოდნის გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. **სკოლას ეძლევა რჩევა დაწყებითი საფეხური** -ბუნებისმეტყველება (6კლასი), **საბაზო საფეხური-** ფიზიკა (7-9კლასი) **საშუალო საფეხური** - ფიზიკა (10, 12კლასი), ბიოლოგია (10კლასი) კლასებისთვის: კლასის კურიკულუმის ჩარჩოში (ცხრილებში) სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია) წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის მხარდჭერას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აგებასა და ახალი უნარების განვითარებაში; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი, უცხო ენების (რუსული, ინგლისური) კურიკულმში თემები და საკითხები შერჩეულია უცხო ენების სტანდარტის, სავალდებულო თემატური ბლოკების მიხედვით და ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს, რაც იძლევა შესაძლებლობას სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად განხორციელდეს. უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმებიდან იკვეთება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია წინა წლის მონიტორინგისა და განხოციელებული აქტივობების ანალიზის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი შედგენილია მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო გარემოს უზრუნველყოფისთვის, კურიკულუმში შუალედურ მიზნებად ჩადებულია შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობები. სკოლას წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი დავალების ბარათები, რომლის გამოყენებითაც მოსწავლეებს დავალების პირობას აცნობენ. ასევე გადმოგზავნილია კურიკულუმში დაგეგმილი, შემოქმდებითი დავალების განხორციელების დამადასტურებელი ნაშრომები და მასწავლებლის ანგარიშები, რომლებშიც აღწერილია თუ როგორ სრულდება კურიკულუმში დაგეგმილი შემოქმდებითი აქტივობები, იფარება თემები და საკითხები. უცხო ენების კათედრას განხორციელებული აქვს პროექტის ტიპის აქტივობები, რაც მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორია, მაგ: დაწყებით საფეხურზე განხორციელებული პროექტი ჩემი ქუჩა“My Street” და საბაზო-საშუალო საფეხურზე განხორციელებული საშობაო ღონისძიება „Merry Christmas“. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა:** სკოლას აქვს გამართული სასკოლო კურიკულუმები, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. **სკოლას ეძლევა რჩევა დაწყებითი და საბაზო საფეხურისთვი:** სასურველია კურიკულუმს არ ჰქონდეს კონკრეტული კლასის მითითება და მასწავლებლის გვარი. მაგ: Iა ; VII ბ; და ა.შ. **ხელოვნება:** კურიკულუმები შეესაბამება ესგ -ს მიხედვით წარმოდგენილ თემებს და სკითხებს. სამივე საფეხურს აქვს გამართული საგნობრივი კურიკულუმები. **სკოლას ეძლევა რჩევა დაწყებითი და საბაზო საფეხურისთვის:** სასურველია კლასს არ ახლდეს მასწავლებლის და კონკრეტული კლასის მითითება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები იმგვარადაა აგებული,რომ აქცენტი კეთდებასაგნისათვის საჭირო კომპონენტებზე,ჩანს თემა,რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს,წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	მათემატიკის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმებში ნათლად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დაგეგმვა და განვითარების გზა.კლასების მიხედვით წარმოდგენილია თემები, სამიზნე ცნებები - მათზე მორგებული დავალებები და რესურსები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ,რომ შესრულებული აქვთ სხვადასხვა აქტივობა,თუ პროექტი,რომლის ამსახველი დოკუმენტები მოგვიანებით იქნა წარმოდგენილი. წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად შეესაბამება სტანდარტებს. **სკოლას ეძლევა რჩევა სამივე საფეხურისთვის:** სასურველია კომპლექსური დავალებებისა და იდეების გამრავალფეროვნება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

სპორტი	**სპორტი** - სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურის კლასისებისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე შერჩეულია სასწავლო თემები , რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ე.ს.გ. სტანდატებს). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	შემუშავებულ კურიკულუმებში ნათლად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დაგეგმვისა და განვითარების გზა(ტექნოლოგიების) მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს და გამოგზავნილი თემატური მატრიციდან გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. აღნიშნული კომპლექსური დავალებების განხორციელებისას გამოიყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება. წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში ასახულია კლასების მიხედვით შესაბამისი სამიზნე ცნებები, მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები, მათი ნიმუშები, ხოლო კომპლექსური დავალებები ფარავს თითქმის ყველა სამიზნე ცნებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზაა, შესაბამისად სასწავლო პროცესი მორგებულია მათ საჭიროებებზე. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში აღნიშნულია სხვადასახვა ტიპის შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რომლებიც მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნას ისახავს მიზნად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება შემოქმედებითი დავალებები, კონტექსტ-მაგალითები, რომლებზე მუშაობაც მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. შერჩეული და განხორციებული აქვთ დავალები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. არაფორმალური კუთხით დაგეგმილი აქტივობები მნიშვნელოვნად უკავშირდება საგაკვეთილო პროცესში დაგეგმილ აქტივობებს და ინტეგრირდება კურიკულუმთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ შედეგებსა და სამიზნე ცნებებს; ყველა სავალდებულო თემაში ყველა (უმეტესწილად) სამიზნე ცნება მუშავდება. ნაცნობი კონტექსტების გამოყენებით, შემოქმედებითი დავალება სამიზნე ცნებების გათავისებას ემსახურება და მასწავლებელს აძლევს საშუალებას შეაფასოს პროდუქტი გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობაში. კურკულუმის კომპონენტები ესგ-ს მიზნების დაძლევაზეა ორიენტირებული. ***სკოლას ეძლევა რჩევა დაწყებითი საფეხურისათვის:*** სასურველია, კურიკულუმში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) უფრო ნათლად აისახოს კავშირი საკითხს/ საკითხთა კლასტერსა და სამიზნე ცნებას/ებს შორის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში თემები და საკითხები ძირითადად სრულყოფილად არის დაკავშირებული ეროვნული სასწავლოს გეგმის, უცხო ენების, შესაბამისი საფეხურის სტანდარტის, სამიზნე ცნებებთან და საფეხურის მისაღწევ

	შედეგებთან (გრძელვადიანი მიზნები). შუალდურ მიზნებად კურიკულმში ჩადებულია, შემოქდებითი ტიპის, სხვადასხვა შემაჯამებელი აქტივობა. ინგლისური ენის, საბაზო საფეხურის კურიკულმებში, წარმოდგენილია საშუალო საფეხურის სამიზნე ცნებები და შედეგები. რადგან ცენებებსა და შედეგსბ შორის არსებითი სხვაობა არ არის, აღნიშნული ხარვეზად არ იქნა მიჩნეული. **სკოლას ეძლევა რჩევა საბაზო საფეხურისთვის:** კურიკლუმი ჩაასწორონ და შეიტანონ საბაზო საფეხურის სტანდარტის სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა:** კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს, რომლებიც მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კურიკულუმში მოცემულია ის თემები, რომელიც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. **ხელოვნება:** კურიკულუმები იმდაგვარადაა დაგეგემილი, რომ ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს, რომლებიც მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კურიკულუმში მოცემულია ის სარეკომენდაციო თემები, რომელიც პასუხობს საგნობრივ სტანდარტებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება (დაწყებითი საფეხურის გარდა) ხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები,კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მორგებულია ესგ--ით განსაზღვრულ გრძელვადიან გეგმებზე და სტანდარტის შედეგებზე.წარმოდგენილი თემები და მათზე მორგებული სამიზნე ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან,რაც უზრუნველყოფს დადგენილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნების მიღწევას.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებითი საფეხურის ტექნოლოგიების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები(ტექნოლოგიები) მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, საკითხები და ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. შერჩეულია შუალედური მიზნები, ცნებათა იერარქიის დაცვით, რაც ხელშემწყობია გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, სხვადასხვა აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე, კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას. რჩევა: მეორე და მესამე ქართულის კურიკულუმების ჩარჩოებში ვფიქრობ, ტექნიკური ხარვეზია და საკითხების სვეტში ჩაწერილია ტექსტები. გირჩევთ, საკითხების სვეტში აღნიშნული ტექსტები გადაანაცვლოთ კონტექსტმაგალითების სვეტში. (ტექსტი აღნიშნავს სწავლა-სწავლების პროცესში განსახილველ სხვადასხვა ტიპის მაგალითს, რომლის

	განხილვა-გაანალიზებას სამიზნე ცოდნის - ცნებების, ქვეცნებების, საკითხის მნიშვნელობის გაგებამდე მიჰყავს მოსწავლე). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული. ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში (ცხრილებში) სავალდებულო შესასწავლი თემების ყველა ძირითადი საკითხის მიმართ განსაზღვრული იყო ძირითადი რესურსის (გრიფირებული სახელმძღვანელოს) გვერდები, დამატებით რესურსებთან დაკონკრეტებული ელექტრონული მისამართები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები, როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე (თვალსაჩინოება, ფოტოები, ფილმები, ზეპირი გადმოცემები, რუკები...) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ეს რესურსები არის მრავალფეროვანი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული და მოსწავლეს უქმნის არჩევანის საშუალებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულმის მიხედვით, სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი რესურსი, გრიფირებული/ან განათლების სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები. კურიკულუმში ასევე წარმოდგენილია დამატებითი ელექტრონული

	რესურსები: სასწავლო თემატიკის უცხო ენოვანი ვიდეო რგოლები (YouTube), ელექტრონული პლატფორმები (მაგ: canva.com პოსტერის დასამზადებლად და სხვა). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ: ინგლისური ენის მეოთხე და მეცხრე კლასების კურიკულუმებში) რესურსად მითითებულია მთელი საძიებო სისტემა (google), საკითხთან დაკავშირებული უამრავი ლინკით. იმისთვის, რომ მოსწავლესთვის ცხადი გახდეს კონკრეტულად რომელი ელექტრონული რესურსით უნდა ისარგებლოს, საჭიროა მასწავლებელმა კონკრეტული ლინკი მიაწოდოს. რაც შეეხება რესურსების ხელმისაწვდომობას, ვიზიტის დროს კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ელქტრონულ რესურსებს მოსწავლეებს პირადად უზიარებენ და აცნობენ. **სკოლას ეძლევა რჩევა სამივე საფეხურისთვის:** სასურველია მასწავლებელმა ისარგებლოს კონკრეტული რესურსით, რათა გამოირიცხოს ლექტრონული რესურსების ფორმალურობა და ხელი შეუწყოს კურიკულმით დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა:** კურიკულუმში მითითებულია სასწავლო რესურსები, რაც აადვილებს მიზნების მიღწევას. **ხელოვნება:** კურიკლუმში მითითებულია სხვადასხვა ელექტრონული რესურსიც. რომელის ვებ. გვერდებიც მოქმედია და ემსახურება ცნებების უკეთ გააზრებას და კურიკულუმში დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. **სკოლას ეძლევა რჩევა სამივე საფეხურზე:** -სასურველია,რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითოთ აუდიო-ვიდეო ფაილები,ფილმები (შესაბამისი ბმულებით)რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები სწორად არის შერჩეული თემასა და სამიზნე ცნებებთან მიმართებაში,რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.უხვად არის გამოყენებული ელექტრონული რესურსები ,რაც მიუთითებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებზე.გასაუბრებისას დადგინდა,რომ ნამდვილად აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით.ასევე დადგინდა ,რომ სკოლას აქვს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი რესურსები,რომლებიც სრულ თანხვედრაშია შესაბამის თემასა და მიზნებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ამის დამადასტურებლად გვაქვს კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, დეტალურ კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებში აფიქსირებს კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად გათვალისწინებულია

	რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები. რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. განხილული, გაანალიზებული, შერჩეული, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსები კლასებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად ჩაშენებულია კურიკულუმებში. კონტექსტ-მაგალითებში გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მასზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელსაც ითვალისწინებენ პედაგოგები სასწავლო წლის დასაწყისში

	ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენისას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ამის საჭიროება აქვთ, ასევე ახდენენ შემოქმედებითი დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში და თანდართულ დოკუმენტებში (მატრიცები, მასწავლებლის რეფლექსია, ისგ) ჩანს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები, როგორც აქტივობებში, ასევე რესურსებში, დავალების ასარჩევ პროდუქტებში, შეფასების კრიტერიუმებში; ვიზიტის დროს მასწავლებლებმა არგუმენტად დაასახელეს ამ მიდგომების პრაქტიკული/კონკრეტული მაგალითები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ინკლუზიური განათლების მისაწოდებლად, სკოლას შეგდენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მე-4 (ინგლისური) და მე-9 (ინგლისური, რუსული) კლასებში. მე-4 კლასის ინდვიდუალური სასწავლო გეგმა საჭიროებდა დახვეწას, კერძოდ არ იყო აღწერილი მოსწავლის აქტუალური ცოდნის დონე. სამიზნე ცნებები და საფეხურის შედგები არ იყო სრულად დაფარული. ასევე გეგმას არ ერთვოდა მონიტორინგის ანგარიში პირველ სემესტრში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ხარვეზი სკოლამ ვიზიტის დროს გამოასწორა, კერძოდ დამატებით წარმოადგინა მე-4 კლასის, შესწორებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც შეესაბამება ესგ-ს, პირველი უცხო ენის, დაწყებითი საფეხურის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. რაც შეეხება მე-9 კლასის ინგლისურ და რუსულ ენებში შედგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ისინიც შეესაბამება ესგ-ს საბაზო საფეხურის, პირველი და მეორე უცხო ენების სტანდარტებს. სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომის მიმართულებით, უცხო ენების კათედრას გადადგმული აქვს გარკვეული ნაბიჯები. სკოლას ჩატარებული აქვს სადიაგნოსტიკო ტესტები ინგლისურ ენაში, საბაზო და საშუალო საფეხურზე. დიაგნოსტიკური წერის საფუძველზე, უცხო ენების კათედრას შედგენილი აქვს სარემედიაციო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სკოლა იყენებს დიფერენცირებულ

	მიდგომას, სკოლის მოსწავლეებთან მიმართებაში, კერძოდ, სთავაზობს მათ დიფერენცირებულ სასწავლო პროგრამას, გამოვლენილი აკადემიური ჩამორჩენის დასაძლევად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა:** წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის მასალა, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. სკოლას აქვს მოსწავლის შესაძლებლობებზე გათვლილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც ხელს უწყობს სკოლაში დიფერენცირებას და ინკლუზიურ მიდგომებს. **ხელოვნება:** სკოლაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც კარგად ისახება წარმოდგენილ ფოტომასალაში. კათედრაზე არის კარგად დაგეგმილი ისგ ხელოვნებაში. **სკოლას ეძლევა ეძლევა საბაზო საფეხურისთვის:** სასურველია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოდგენილი იყოს ხელოვნებაშიც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	სკოლას აქვს წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,რომელიც მორგებულია კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე და უზრუნველყოფს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს.ინტერვიუს დროს დადგინდა რომ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი პრაქტიკა და მზაობა გეგმაში წარმოდგენილი აქტივობების განხორციელების. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და

	ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები არის წარმოდგენილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებს აქვთ მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას სრულყოფილად არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები და სხვა), თუმცა, წარმოდგენილი საგნის (ტექნოლოგიები) ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ /დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ხდება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება მათი შესაძლებლობის ფარგლებში. საგნის მასწავლებელთან თანამშრომლობით ადგენენ ისგ-ს, შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში სწავლა სწავლების პროცესში დასახული მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინფორმაცია სკოლის შეფასების სისტემის შესახებ. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. **სკოლას ეძლევა რჩევა: (სამივე საფეხური, ყველა საგანი)** მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან და ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ ყველა შემოქმედებითი დავალების ფარგლებში, რომელიც განხორციელდება, შექმნან კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის შესაბამის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოსწავლის შეფასების მიდგომებში ძირითადად გათვალისწინებულია ესგ-ში განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. ზოგად დოკუმენტებში, რეფლექსიებში სწორად არის ასახულია ეს მიდგომები, მოცემულია ე.წ. მოლოდინების რუბრიკები, ,,სოლო ტაქსონომიის“ დონეების შესაბამისი ინდიკატორები კონკრეტულ დავალებებთან მიმართებით, თუმცა ვხვდებით ზოგად, კონკრეტულ აქტივობაზე და არა, გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებულ შეფასების ინსტრუმენტებსაც, რომლებშიც ნაკლებად ჩანს კავშირი საგნის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან. კათედრის სხდომის ოქმში თავად კათედრა აღნიშნავს, რომ შეფასების ინსტრუმენტები მოითხოვს ხარისხობრივ გაუმჯობესებას. საჭიროება გააზრებულია, პროცესი მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ვადასტურებ **ინდიკატორთან შესაბამისობას**.

	სკოლას ეძლევა რჩევა **საზიგადოებრივ მეცნიერებებში, ეხება სამივე საფეხურს:** კურიკულუმის განვითარების პროცესში შეფასების ინსტრუმენტები მიზნობრივად მოერგოს სკოლის მიერ შემუშავებულ და აღიარებულ ხედვას შეფასებასთან დაკავშირებით, რისი კონკრეტული მაგალითებიც უკვე პრაქტიკულადაც აქვთ შექმნილი საზ. მეცნიერებების მასწავლებლებს.
უცხოური ენები	სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ (მე-5 კლასი მეორე სემესტრი-მე-12 კლასის ჩათვლით, საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების დროს) შეფასებებს. სკოლას სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვს როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომლებიც შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების რუბრიკებში სატანდარტის სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები მისადაგებულია საკითხებსა და შეფასების კრიტერიუმებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა:** სკოლის მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მრავალდაა განმსაზღვრელი და განმავითერებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გამომდინარეობს თემებიდან და აფასებს მოსწავლის ცოდნასა და უნარებს ცნებებთან მიმართებით. **ხელოვნება:** წარმოდგენილი დოკუმენტაცია საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სკოლაში წარმატებით ხორციელდება მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები,მიზნები და ამოცანები. შეფასების რუბრიკები მორგებულია კონკრეტულ დავალებებზე,შეფასების სისტემა მასწავლებლებს ეხმარება გაანალიზონ,კრიტერიუმთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები. სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად მიმართავენ დიაგნოსტიკას, რემედიაციის პროგრამას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებულია კონკრეტულ თემებზე, სრულად შეესაბამება მათემატიკის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს. რაც მთავარია გამოიკვეთა შეფასების სისტემის სწორი მიმართებები და დამოკიდებულებები გრძელვადიან მიზნებთან. სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, სოლო ტაქსონომიას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია დაწყებითი კლასების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლების ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერილია მოსწავლეთა განვითარების დინამიკა. რჩევა: საგანი-მე და საზოგადოება ყველა კომპლექსურ დავალებას სჭირდება დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რითაც შეაფასებთ მოსწავლის ნამუშევარს. გირჩევთ, აღნიშნული რუბრიკის შექმნისას გაითვალისწინეთ დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები/ მოთხოვნები, განმავითარებელი რუბრიკა ამ კრიტერიუმებს უნდა დაეყრდნოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა - კონცეპტუალური ნაწილი;
- დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საფეხურის შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი, განმსაზღვრელი);
- სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა;
- კლასების კათედრის ოქმი N1;
- დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა;
- დამატებითი რესურსების ჩამონათვალი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- რემედიაციის დოკუმენტები;
- უცხო ენების (ინგლისური, რუსული) კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო);
- უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმები (N1, 2, 3);
- კათედრის ოქმის დანართები, რესურსების ჩამონათვალი (ინგლისური, რუსული);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმემი (ინგლისური, რუსული მე-4, მე-9 კლასები);
- დიაგნოსტიკური ტესტები (მე-9, მე-11 კლასები);
- სარემედიაციო პროგრამები (მე-9, მე-11 კლასები);
- შემოქმედებითი დავალების ბარათები და ნაშრომები;
- საგნობრივი ანგარიშები (ინგლისური, რუსული);
- ანგარიში განხორციელებული პროექტების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად. სკოლის მიერ შექნილ ჩარჩოებში საბუნებისმეტყელო კათედრას საგნობრივი კურიკულუმის სამივე საფეხურზე გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, სკოლის წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილია სხვადასხვა აქტივობები. სკოლაში მუშაობს ეკოკლუბი, სკოლას აქვს ლაბორატორია. **სკოლას მიეცა სამივე საფეხურზე რჩევა**: წარმოდგენილი კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის გაამრავალფეროვნონ: კურიკულუმის ჩარჩოში შეტანილი

	ქვეცნებები დაკონკრეტდეს თითოეულ საკითხთან მიმართებაში, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში. სამივე საფეხურის (ყველა საგანი) შემოქმედებითი დავალების ბარათებში, თემატურ მატრიცებსა და კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებები მოვიდეს თანხვედრაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, რაზეც მეტყველებს წარმოდგენილი მატრიცები და მასწავლებელთა ანგარიშები (რეფლექსიები). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ვიზიტის დროს, მასწავლებლთან გასაბურების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. შემოქმედებითი დავალების ბარათები, მოსწავლეთა ნამუშევრები, კათედრის სხდომის ოქმები და მასწავლებელთა ანგარიშები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს მექანიკურად, არამედ წარმოაგდენს წინასწარ დაგეგმილ პროცესს და შეესაბამება საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო პროგრამას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა:** კურიკულუმში გათვალისწინებულია თემებზე მორგებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც განხორციელებულია. ამას მოწმობს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული მოსწავლეთა ნამუშევრები, როგორც შემოქმედებითი პროდუქტი. **ხელოვნება:** კურიკულუმში მოცემულია კმპლექსური ტიპის დავალებები, რაც ხორციელდება კიდეც. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არის ამის დამადასტურებელი მასალა. ფოტების, კურიკულუმების, შემოქმედებითი დავალებების სახით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს,შეფასების რუბრიკები მარტივად აღქმადია,კირიტერიუმები ცნებათა მკვიდრ

	წარმოდგენებს მიემართება და დავალების მიზანს შეესაბამება,ყველა მოსწავლე ფასდება ერთი და იგივე კრიტერიუმით,მოსწავლეებმა წინასწარ იციან ,რის მიხედვით ფასდებიან. ასევე მშობლებისათვისაც ცნობილია კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობები სამიზნე ცნებებთან და თემასთან მიმართებაში შესაბამისია.შერჩეულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები,თუმცა შესაძლებელია იდეებისა და აქტივობების გამრავალფეროვნება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სამივე საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას დაწყებით საფეხურის კომპიუტერულ ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. ეს კარგად ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დაადასტურეს კათედრის წევრებმა საუბრისას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, რადგანაც სასწავლო პროცესი დაგეგმილი და შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე მოდიფიცირებით, რესურსების დამატებით, რემედიაციით. მაგ. სკოლაში არსებული რემედიაციის პროგრამის დებულების შესაბამისად ხორციელდება რემედიაცია. ცვლილების საჭიროების განხილვა ხდება კათედრაზე და კურიკულუმში შედის შესაბამისი ცვლილება. შემოქმედებითი დავალების შექმნისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სსსმ მოსწავლის შესაძლებლობებს. რემედიაცია განხორციელდა პირველ კლასში, წარმოდგენილია, რემედიაციის გაკვეთილების თემატურ-კალენდარული გეგმა, ქართულ ენაში. რემედიაციის გაკვეთილების თემატურ-კალენდარული გეგმა, ბუნების მეტყველებაში, მესამე კლასი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან ინტერვიუდან და აგრეთვე მათ მიერ შექმნილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (შეფასების რუბრიკების ნიმუშები), კათედრამ შეიმუშავა ისეთი შეფასების კრიტერიუმები სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლაში შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. პედაგოგებს აქვთ გააზრებული, როგორი სახის შეფასების რუბრიკა უნდა შექმნან თემის შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით, კონტექსტ-მაგალითთან მიმართებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი ზოგადი და კონკრეტული დოკუმენტების, ვიზიტის დროს გასაუბრების საფუძველზე ვასკვნით, რომ სკოლას და კათედრას აღიარებისა და გააზრების დონეზე გათვალისწინებული აქვს შეფასების ძირითადი პრინციპები, შეფასების მიდგომებსა და კრიტერიუმებზე წინასწარვე არიან ინფორმირებული მოსწავლეები და მშობლები, კათედრა, ადმინისტრაცია მონიტორინგს უწევს შეფასების ვალიდურობას, სანდოობასა და სამართლიანობას; კათედრის წევრები აღიარებენ, რომ შეფასების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა კიდევ სჭირდებათ და ჩართულნი არიან ამ პროცესში. ამიტომ ვადასტურებთ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხო ენების კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ყველა საფეხურისთვის, ძირითადად ინგლისური ენის მაგალითზე, რომლებიც ეფუძნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის, უცხო ენის საგნობრივი სტანდარტების გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები, საფეხურის შედეგები). გადმოგზავნილი რუბრიკები აფასებს მხოლოდ რამდენიმე შემოქმდებით დავალებას, რაც არ იძლევა მთლიანი სურათის დანახვის შესაძლებლობას, თუ როგორ შეფასდა კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა შემოქმედებითი აქტივობები.

	ასევე, შეფასების ვალიდურობისა და სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები იყოს მეტად დაკონკრეტებული და მისადაგებული შესაბამის დავალებაზე. როგორც ვიზისტის დროს მასწავლებლებმა განმარტეს, შეფასების ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს და აძლევენ განმარტებებს, თუ რის მიხედვით შეფასდებიან ისინი, კურიკულუმით გათვალისინებულ დავალებებთან მიმართებაში. თუმცა, სკოლას წარმოდგენილი არ აქვს მტკიცებულებები, თუ რა ფორმით აცნობენ მოსწავლეს შეფასების რუბრიკებს, როგორ ხდება შეფასების რურბრიკების ადაპტირება მოსწავლისთვის გასაგებ დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, მკაფიო და გასაგებადაა გაწერილი კრიტერიუმები, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს თვითშეფასებაც განახორციელოს. ასევე დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა ურთიერთშეფასება და თვითშეფასება, რაც დადებითად ასიახება მოსწავლეთა სწავლების ხარისხზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს,შეფასების რუბრიკები მარტივად აღქმადია,კირიტერიუმები ცნებათა მკვიდრ წარმოდგენებს მიემართება და დავალების მიზანს შეესაბამება,ყველა მოსწავლე ფასდება ერთი და იგივე კრიტერიუმით,მოსწავლეებმა წინასწარ იციან ,რის მიხედვით ფასდებიან. ასევე მშობლებისათვისაც ცნობილია კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

მათემატიკა	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მორგებულია თითოეულ თემაზე ისე,რომ სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას.ინტერვიუს დროს დადგინდა,რომ შეფასების რუბრიკები შემუშავდა კათედრაზე მასწავლებელთა მიერ,სადაც გათვალისწინებული იყო ერთმანეთის გამოცდილება და პრაქტიკა,რაც უზრუნველყოფს ობიექტურობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებლები კათედრაზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ მომავალი შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის კურიკულუმში გაწერილია სამომავლოდ რუბრიკების და შეფასების მექანიზმების განხორციელება სკოლაში. შესაბამისად, აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური. აქედან გამომდინარე ერთობლივად შემუშავებული შეფასების სისტემა ობიექტურია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას აქვს ბრძანება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ, შეფასების სისტემის მექანიზმი და ამოქმედებულია ეს მექანიზმები. იგი ხორციელდება პარალელურ კლასებთან მომუშავე კათედრების მასწავლებლების მიერ. (მაგალითად, ვერიფიკაცია ეყრდნობა შემაჯამებელ სამუშაოზე (თემა -„ჩემი ოჯახი'') განხორციელებულ განმსაზღვრელ შეფასებას (ხორციელდება კლასში არსებული მოსწავლეთა 50 %-ის _ ოთხი მოსწავლის ნაშრომებს. ნაშროები შერჩეულია შეთხვევითობის პრინციპით - პირველი 6 მოსწავლე). სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედის სკოლის დირექციის წარმომადგენელი და კათედრების წარმომადგენლები, რომლებიც ეცნობიან ანგარიშის შევსებულ ფორმებს და გამოკვეთენ მოსწავლეების ტიპურ პრობლემებს. დაკვირვების შედეგებს ისისნი წარადგენენ და დასკვნებს განაზოგადებენ საფეხურის დონეზე საგნის/კათედრის დონეზე. შესაბამისად. სკოლის ხედვებით, ვერიფიკაცია იძლევა ინფორმაციას სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამდენად, სკოლამ აქტიურად დაიწყო და შემდგომშიც უზრუნველყოფს ვერიფიკაციის მექანიზმის რეალიზებას. **სკოლას მიეცა რჩევა სამივე საფეხურზე: -** სასურველია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირებისათვის, შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში გაწერილი აქტივობის შესაბამისად, სკოლამ კურიკულუმის დანერგვის პროცესში აქტიურად გამოიყენოს დიაგნოსტირების მეთოდი. სასწავლო წლის განმავლობაში 2-ჯერ მაინც, რათა უკეთ გამოვლინდეს მიგნებები მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის რევიზირებისთვის. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახოს შესაბამის დასკვნაში. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. სკოლამ დასკვნისა და დასკვნის განხილვის შედეგების საფუძველზე გადახედოს სკოლის კურიკულუმს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა 2024–2025 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს და გეგმავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას; მოსწავლეთა პირადი საქმეების და სხვა მტკიცებულებების სკოლაში კანონის შესაბამისი ვადებით შენახვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი, საბაზოს და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ბრძანება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება რემედიაციის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ვერიფიკაცია;
- სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი, განმსაზღვრელი);
- შემოქმედებითი დავალება;
- ინტეგრირებული გაკვეთილი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება მრავალფეროვან რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. ამის მტკიცებულებაა შემოქმედებით დავალებებში მოსწავლეების ნამუშევრები.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის კონკრეტულ საგნებში ძირითად რესურსად გრიფირებული სახელმძღვანელოებია აღიარებული და ისინი გამოიყენება სასწავლო პროცესში, კურიკულუმითვეა განსაზღვრული დამხმარე სასწავლო რესურსები, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული, რაც რეალურადაც გააქტიურებულია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმში სკოლას მითითებული აქვს გრიფირებული ან განათლების სამინისტროს მიერ შეთანხმებული (მაგ: მე-12 კლასი, ინგლისური) სახელმძღვანელოები. თემები და საკითხები ორივე უცხო ენაში მიჰყვება ძირითად რესურს სახელმძღვანელოებს და შესაბამისობაშია სტანდარტის თემატურ ბლოკებთან. ძირითადი სახელმძღვანელობის გარდა, შემოქმედებითი დავალების განხორციელების მიზნით, კათედრა იყენებს დამატებით ელექტორნულ რესურს, რომელიც გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმით. ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა განმარტეს, რომ მოსწავლეებს სხვადასხვა პლატფორმის (teams, email და სხვა) გამოყენებით აწვდიან დამატებით რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა:** წარმოდგენილ კურიკულუმებში, ასევე სხვადასხვა სახის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლა აქტიურად იყენებს დამხმარე რესურსებად სხვადასხვა სახის სასწავლო მასალას. **ხელოვნება:** სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ კათედრაზე დამხმარე რესურსები აქტიურად გამოიყენება. მოსწავლეები სწავლობენ თექაზე მუშაობას. ამზადებენ სხვადასხვა სახის პროდუქციას და ჩართულები არიან არაფორმალურ პროექტებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები,ინტერესები,საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია

	გრიფირებული სახელმძღვანელო,ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები,რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს,მიზანს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები საჭიროებს კომპიუტერებს ,ინტერვიუს დროს ეს საკითხი მკაფიოდ გამოვკვეთე.დადგინდა რომ სკოლას გააჩნია საკმარისი კომპიუტერები რაც საჭიროა შესაბამისი დადგენილი აქტივობებისთვის,ასევე ელოდებიან ახალ ერთეულებსაც.ასევე აქტიურად ხდება მათი მიზნობრივად გამოყენება.სკოლა დასახელებულ სხვა რესურსებსაც ფლობდა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ამის დამადასტურებლად გვაქვს მოსწავლეების ნამუშევრები და განხორციელებული აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მათი გამოცდილების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება მოსწავლეების მრავალფეროვანი მიდგომები, პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლებისას ყურადღება გამახვილებულია ისეთი რესურსების გამოყენებასა და სწავლების მეთოდების დანერგვაზე, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარებისა და ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართულნი არიან აქტივობებში,

	რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გამოიყენონ შეძენილი ტექნოლოგიური აზროვნება. ამის მტკიცებულებაა მოსწავლეების ნამუშევრები და ჩატარებული აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, აკმაყოფილებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. რესურსები დახმარებას უწევს მასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ მრავალფეროვან აქტივობების განხორციელებაში, მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრას შემუშავებული აქვს სასწავლო რესურსების ვალიდაციის სქემა, რომელიც კათედრის სხდომაზეა განხილული და ოქმში ასახული. ასევე შემუშავებულია ვალიდაციის კრიტერიუმები. დოკუმენტებს ერთვის ვალიდირებული დამატებითი რესურსების ნუსხა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასკოლი პრაქტიკიდან გამომდინარე იკვეთება, რომ რესურსების ვალიდაციას ახორციელებს უცხო ენების კათედრა, რაც დასტურდება სკოლის მიერ გადმოგზავნილი კათედრის სხდომის N1 ოქმით. დამხმარე რესურსების სხვა რაიმე ვალიდაციის წესი სკოლას შემუშავებული არ აქვს. სასწავლო წლის დასაწყისში უცხო ენების კათედრა არჩევს როგორც ძირითად, ისე დამხმარე ელექტრონულ რესურსებს. უნდა აღინიშნოს, რომ კათედრას რესურსების

	ჩამონათვალში, ელექტრონული ლინკების გარდა (რომლებიც ასახულია კურიკულუმში), ინგლისურ ენაში, მითითებული აქვს არა ერთი დამხმარე სახელმძღვანელო, თუმცა ეს უკანასკნელი არ არის ასახული შესაბამის საგნობრივ კურიკულუმში. ვიზიტის დროს მასწავლებლებმა განმარტეს, რომ დამხამრე სახელმძღვანელოებს იყენებენ დამატებითი გრამატიკული და ლექსიკური ცოდნის გასაღრმავებლად. უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმში N1 სკოლას აღწერილი აქვს, ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შეარჩიეს ესა თუ ის რესურსი **სკოლას ეძლევა რჩევა სამივე საფეხურზე:** რომ შერჩეული დამატებითი რესურსები სრულად ასახოს შესაბამისი კლასის კურიკულუმში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა:** დამხმარე სასწავლო რესურსები გამომდინარეობს საგნობრივი კურიკულუმებიდან, ემსახურება გრძელვადიან მიზნებს და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. **ხელოვნება:** დამხმარე სასწავლო რესურსებში გათვალისწინებულია საგნობრივი სპეციფიკა. ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების შესრულებას და გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენებაგანხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან,სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ გასინჯვას. მასწავლებლები

	ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები, მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც და წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და მათ სულიერ კეთილდღეობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ ტესტირებას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანი, აქტუალური და მოსწავლეებისთვის გასაგებია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული რესურსებისა და კონტექსტმაგალითების სვეტი ადასტურებს, რომ დაწყებით საფეხურზე შერჩეული რესურსები შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მუდმივად ცდილობენ რესურსების განახლებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, აკმაყოფილებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. რესურსები დახმარებას უწევს მასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ მრავალფეროვან აქტივობების განხორციელებაში, მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრას შემუშავებული აქვს სასწავლო რესურსების ვალიდაციის სქემა, რომელიც კათედრის სხდომაზეა განხილული და ოქმში ასახული. ასევე შემუშავებულია ვალიდაციის კრიტერიუმები. დოკუმენტებს ერთვის ვალიდირებული დამატებითი რესურსების ნუსხა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასკოლი პრაქტიკიდან გამომდინარე იკვეთება, რომ რესურსების ვალიდაციას ახორციელებს უცხო ენების კათედრა, რაც დასტურდება სკოლის მიერ გადმოგზავნილი კათედრის სხდომის N1 ოქმით. დამხმარე რესურსების სხვა რაიმე ვალიდაციის წესი სკოლას შემუშავებული არ აქვს. სასწავლო წლის დასაწყისში უცხო ენების კათედრა არჩევს როგორც ძირითად, ისე დამხმარე ელექტრონულ რესურსებს. უნდა აღინიშნოს, რომ კათედრას რესურსების ჩამონათვალში, ელექტრონული ლინკების გარდა (რომლებიც ასახულია კურიკულუმში), ინგლისურ ენაში, მითითებული აქვს არაერთი დამხმარე სახელმძღვანელო, თუმცა ეს უკანასკნელი არ არის ასახული შესაბამის საგნობრივ კურიკულუმში. ვიზიტის დროს მასწავლებლებმა განმარტეს, რომ დამხამრე სახელმძღვანელოებს იყენებენ დამატებითი გრამატიკული და ლექსიკური ცოდნის გასაღრმავებლად. უცხო ენების კათედრის სხდომის

	ოქმში N1 სკოლას აღწერილი აქვს, ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შეარჩიეს ესა თუ ის რესურსი **სკოლას ეძლევა რჩევა სამივე საფეხურზე:** რომ შერჩეული დამატებითი რესურსები სრულად ასახოს შესაბამისი კლასის კურიკულუმში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა:** დამხმარე სასწავლო რესურსები გამომდინარეობს საგნობრივი კურიკულუმებიდან, ემსახურება გრძელვადიან მიზნებს და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. **ხელოვნება:** დამხმარე სასწავლო რესურსებში გათვალისწინებულია საგნობრივი სპეციფიკა. ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების შესრულებას და გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენებაგანხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან,სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ გასინჯვას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები, მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც და წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და

	თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და მათ სულიერ კეთილდღეობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ ტესტირებას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანი, აქტუალური და მოსწავლეებისთვის გასაგებია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული რესურსებისა და კონტექსტმაგალითების სვეტი ადასტურებს, რომ დაწყებით საფეხურზე შერჩეული რესურსები შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მუდმივად ცდილობენ რესურსების განახლებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

ვიზიტის დროს დაწესებულების Eschool - ის ბაზის დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ სკოლის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსები და აკმაყოფილებენ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულია 32 მასწავლებელი, მათგან 9 წამყვანი, 20 უფროსი მასწავლებელი, 2 მოწვეული და 1 პრაქტიკოსი სპეცმასწავლებელი. როგორც გაირკვა სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია მუსიკის,

ხელოვნების და სპორტის ვაკანტურ საათებზე. დარეგისტრირებული აპლიკანტები არ გამოცხადდნენ გასაუბრებაზე, სკოლის გეოგრაფიული მდებარეობისა და სიშორის გამო. (როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლას გააჩნია სამი სასწავლო კორპუსი სხვადასხვა ლოკაციაზე. მე-3 კორპუსი მდებარეობს ცენტრიდან მოშორებით, მაღლა მთაში. სადაც დიდთოვლობის დროს გზები იკეტება). ვაკანტურ საათებზე დანიშნულია მოწვეული მასწავლებლები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან საგნის გამოცდაზე. კომპეტენციის ვერ დადასტურების შემთხვევაში აღნიშნული საათები გახდება ვაკანტური და სექტემბერში კვლავ გამოცხადდება ვაკანსია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა - კონცეპტუალური ნაწილი;
- დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი, განმსაზღვრელი);
- სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა;
- დაწყებითი,საბაზო და საშუალო კლასების კათედრის ოქმი N1;
- დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა;
- დამატებითი რესურსების ჩამონათვალი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- რემედიაციის დოკუმენტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

კურიკულუმის შექმნა დანერგვა ციკლური პროცესია და ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიმდინარე პროცესის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზე კათედრას სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად შემუშავებული აქვს ურთიერთდასწრების განრიგი, რომლის მიხედვით ხორციელდება მონიტორინგი და შეფასება. სკოლა აცნობიერებს, რომ მონიტორინგი არა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმია. კათედრაზე მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. კათედრაზე საგნის მასწავლებლები ურთიერთდასწრების დროს უწევენ ერთმანეთს მონიტორინგს და აფასებენ გაკვეთილის ყველა აქტივობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ განხორციელული სასწვლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა, მასში ასახულია კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, გააზრებულია ყველა შესაძლებლობა და

ყველა ცვლილება, რაც მისი წარმატებული მოქმედების გარანტიაა. კათედრაზე საუბრობენ, რომ მონიტორინგის, შეფასების, კოლეგის შეფასებისა და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე იკვეთება პრობლემა და ხდება გადაჭრის გზების ძიება, პრობლემის გადაჭრა. მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გასაზომად ტარდება დიაგნოსტიკური წერები, რომელიც მოსწავლეთა განვითარების დონის დასაკვირვებლად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების მიერ კონკურსებში მიღებული შედეგების გაანალიზება. არსებული ანალიზის გათვალისწინება ხდება მეორე სემესტრში ან მომდევნო წლის კურიკულუმში. მასწავლებლები ყოველი სემესტრისა და წლის ბოლოს აკეთებენ რეფლექსიას, რომელშიც აღიწერება გამოკვეთილი პრობლემები და მათზე რეაგირებები, თუ როგორ გადაჭრა მასწავლებელმა ესა თუ ის პრობლემა. სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის წარმოებისთვის სკოლის დირექცია უზრუნველყოფს მხარდაჭერის მიზნით სასწავლო პროცესზე დაკვირვებას. ფორმალური დაკვირვება წინასწარ გაწერილი თარიღითა და შეფასების ინსტრუმენტით მიმდინარეობს, ხოლო არაფორმალური დაკვირვება აღწერითი ან ფოკუსირებული ფორმატით, დაკვირვების რუბრიკებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზს, წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის და სხვა. ამ მიზნით სკოლას აქვს გამოცდილება მასწავლებელთა ურთიერთდასწრებისა და შესაბამისი უკუკავშირის მიწოდებისა. კათედრებზე საუბრობენ, რომ სამომავლოდ მონიტორინგმა და შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს ახალი გამოწვევებისათვის მზადებას და ახალი შესაძლებლობების დაგეგმვას. შესაბამისად, იმისათვის რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესები ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას, სკოლა მონიტორინგისა და შეფასების სამ საკვანძო მიმართულებაზე საუბრობს:

- **ანგარიშვალდებულება,** ინფორმაციის გამოყენება და შემდგომი წარდგენა დაინტერესებული მხარეებისთვის; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, პასუხისმგებლობის დელეგირება შემდგომი წარმატებისთვის.
- მიღწევა-შეფასების სისტემა ორიენტირებული **მუშაობის გაუმჯობესებაზე.**
- დაგეგმვა-მონიტორინგი და შეფასება **მომავლის დაგეგმვის საფუძველი და ხელშემწყობი ასპექტი.**

ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ახალ სასკოლო კურიკულუმში სკოლა გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების უფრო მოქნილი და დახვეწილი მექანიზმის შექმნას, ხარისხის ჯგუფის თანმიმდევრული მუშაობის უზრუნველყოფას, რომლის პრიორიტეტი თითოელი მასწავლებლის პროფესიული ზრდა-განვითარება იქნება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;
- ურთიერთდასწრების განრიგი;
- დირექციის წევრის შეფასება;
- კოლეგის შეფასება;
- მასწავლებლის თვითშეფასება;
- დიაგნოსტიკური წერის ანალიზი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გასაუბრების შედეგად მკაფიო გახდა, რომ სკოლას კათედრაზე საგანში აქვს მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები, რაც ითვალისწინებს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას სხვადასხვა მეთოდებს მონაცემების შეგროვებიდან მათ რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზამდე. სკოლაში მასწავლებლები ძირითადად იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას და განმავითარელი შეფასების სხვადასხვა ფორმას. იციან როგორ გამოიყენონ შეფასების

შედეგებიდან მიღებული მონაცემები სწავლისა და სწავლების გასაუმჯობესებლად. მიმდინარე კურიკულუმი ამ მიმართულებით ეყრდნობა როგორც მასწავლებელთა, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასებების, ურთიერთშეფასებების სქემებს, განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების რეფლექსიებს, კათედრათა წლიური მუშაობის ანალიზებს. რადგან მოსწავლეები ეტაპობრივად იღებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა წინსვლაზე, გამოკვეთს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება, იძლევა წარმოდგენას, რომ კათედრას აქვს გამოცდილება, გააანალიზოს, თუ რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა სხვადასხვა ტიპის დავალებების გამოყენება. მაგ: ესეს დაწერა, რეფერატის დაწერა, სტატიის მომზადება, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვა. სკოლა მიიჩნევს, რომ შეფასებისას მრავალი კონტექსტის გათვალისწინება ასევე გულისხმობს მოსწავლის მიერ მიღებული შედეგების გაანალიზდებას სახლის, სკოლის, კლასის, ეზოს, არაფორმალური გარემოს კონტექსტის შესაბამისად. მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ამგვარი შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნებია რელევანტური და მოსწავლეზე მიმართული. ამასთან, მასწავლებელი თავადაც მუდმივად იკვლევს, გეგმავს ინტერვენციებს, პროფესიულად იზრდება და მრავალგვარი ასპექტით ხედავს სიტუაციას. ფაქტია, რომ სკოლაში ასევე ხორციელდება სსსმ მოსწავლეთა ისგ-ს მიხედვით შეფასება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

კურიკულუმის შეფასების პროცესში სკოლას მიაჩნია, რომ შეფასება მუდმივ ანალიზზეა დამოკიდებული, მონაცემთა შეგროვება ხდება მასწავლებლების ურთიერთდასწრების, გამოკითხვების ჩატარების როგორც მოსწავლეებში, ასევე მასწავლებლებსა და მშობლებში, ანკეტირების, მასწავლებელთა და კათედრის თავმჯდომარეების ანგარიშების, განმავითარებელი შეფასების საშუალებით. პროცესის ეფექტიანობისა და სრულყოფილი შედეგებისთვის აუცილებელია კომპლექსური ანალიზი. აქ იგულისხმება მაქსიმალურად მოპოვებული ინფორმაცია, მრავალფეროვანი ინსტრუმენტის საფუძველზე მიმდინარე

მონიტორინგი, რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენება შედეგების შეჯამება-ანალიზისას ჰოლისტური შეფასების სისტემა. ყველაზე მასიურად სკოლაში ამ მიზნით გამოიყენება ანკეტირებები, გამოკითხვა, ფოკუს-ჯგუფი, დაკვირვება და სხვა. სკოლა გეგმავს 2025-2026 სასწავლო წლიდან უფრო აქტიურად გაშალოს კვლევის ეტაპები და დახვეწოს უკვე არსებული ფორმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების გამოკვეთა.

სკოლის თვალთახედვით შეფასების მიზანი მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთაა, რათა ყველა ჩართულ მხარეს: მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს და დირექტორს ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რა ტიპის დახმარება ან წახალისება სჭირდება მას. ეს კი იძლევა იმის შესაძლებლობას, დადგინდეს სწავლა-სწავლების ტენდენციები, როგორც ცალკეული კლასის, ასევე ზოგადად, სკოლის დონეზე. სკოლა მნიშვნელოვან ორიენტირად მიიჩნევს მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზს, დიფერენცირებული მიდგომების სტრატეგიების გადასინჯვას, სხვადასხვა უნარების დიაგნოსტირებას, დროს, სივრცეს, შიდა და გარე ფაქტორებს, ანუ ყველაფერს, რაც გავლენას ახდენს შედეგებზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა - კონცეპტუალური ნაწილი;
- სასკოლო სასწავლო გეგმები;
- მშობელთა გამოკითხვის ანკეტა;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლაში პედაგოგები აკვირდებიან, იაზრებენ კურიკულუმის განხორციელების წარმატებულ და წარუმატებელ პრაქტიკას. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს შემოქმედებითი დავალებების განხორციელებისას მიღებულ გამოცდილებას, თუ რა ტიპის პრობლემის წინაშე აღმოჩდნენ, რისი გადალახვა შეძლეს და რისი ვერა. გაკეთდა დიაგნოსტიკური წერების ანალიზი. შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმა ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი. ეს გამოწვევები და გადაწყვეტილებები ასახული აქვთ პედაგოგიურ საბჭოს ოქმში. (სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 10. დღის წესრიგი: 1. 2023-2024 სასწავლო წლის შეჯამება; 2 ელექტრონული ჟურნალის მოწიტორინგის შედეგების განხილვა; 3. 2023–2024 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესაბამისი კლასის დაძლევის შესახებ იწფორმაციის წარდგენა; 4. 2023-2024 სასწავლო წელს სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტიანობის შეფასება და შემდგომი გაუმჯობესების გზების განსაზღვრა; 5. ისგ ჯგუფის 2023-2024 სასწავლო წლის შედეგების შეჯამება.) 2024-2025 სასწავლო წლის

ბოლოს კათედრები შეიმუშავებენ ახალ საჭიროებათა პაკეტს, რომელიც გათვალისწინებული იქნება ახალ 2025-2026 სასწავლო წლის კურიკულემებში. სკოლა იაზრებს და აანალიზებს, თუ რა გამოცდილება არის სახეზე, როგორ გამოიყენებს ამ გამოცდილებას პრობლემების გადაჭრისას, ახალის დაგეგმვისას გასათვალისწინებელ ყველა ასპექტს, პასუხისმგებლობის დელეგირებისა და გამოცდილების გაზიარების გზებზე სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლა გეგმავს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაანალიზებული და გამოყენებული იყოს კურიკულუმის რევიზიის პროცესში. მათი ხედვით, მიმდინარე კურიკულუმი ეფუძნება წინარე გამოცდილებას და შექმნილია მასწავლებელთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისას გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით. ფიქრობენ, რომ ახალ კურიკულუმში მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიების დანერვის შემდეგ გაიზრდება წინარე გამოცდილების გაზიარების ხარისხი. კათედრაზე საუბრობენ, რომ განსაკუთრებით შეეცდებიან კურიკულუმის გამდიდრებას რესურსებით, კონტექსტმაგალითებით, გაუმჯობესებული შეფასების რუბრიკებით. მათთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის რევიზიაში ჩართულია არა მხოლოდ მისი შემქმნელი მასწავლებელი, არამედ სასკოლო საზოგადოების ყველა ის წევრი, ვისაც რაიმე წვლილი შეაქვს კურიკულუმის შემუშავებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ჩეკლისტი;
- დიაგნოსტიკური ტესტები;
- პედსაბჭოს ოქმი N10;
- მასწავლებლის თვითშეფასება;
- კოლეგის შეფასება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 14.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ნოდარ ანგურიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ირმა გამსახურდია

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნის ექსპერტი ქეთევან ბორაშვილი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი ეკატერინე მაკარიძე

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი თამარ წულუკიძე

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი გიორგი ტაბუცაძე

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი ზურაბ ურიადმყოფელი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი ირინე თეთვაძე

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი ნინო კაპანაძე

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი მზია შევარდნაძე

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი ნათია ორმოცაძე